

11  
1884  
1920  
1920

# ივერია

1884

№№ V & VI, მაისი და ივნისი

თბილისი.

ექვთიმე ხელაძის სტამბა.

1884

## შინაარსი:

- |   |     |
|---|-----|
| I. ლელია (შემდგომ) რომანი ჟორჟ ზანდის თარგ.<br>გნ. ს. კრისტოვისაგან . . . . .   | 3   |
| II. მართველთა ძველი ცხოვრების კვალი წმ. ქვე-<br>ყანაში და სინაის მთაზე (სიტყვა თქმული ზრო-<br>ტესორის ა. ა. ცაგარელის მიერ ზალესტინის სა-<br>ზოგადოების სხდომაზე 30 დეკ. 1883 წ. (და-<br>სასრული) თარგ. რუსულით ა. შირინაშვილისაგან | 49  |
| III. მიცვალებული (ლეჟი) ცახელისა. . . . .   | 63  |
| IV. საანღაზო ლექსები, ამოკრუფილნი «ვეფსკის-ტყა-<br>ოსნიდამ», «ქილილა და მანიდამ» და გურამიანი-<br>დამ» (გაგრძელება) . . . . .   | 65  |
| V. რამდენიმე შენიშვნა-აღგილობრივის ელემენტის<br>შესახებ ძველის ქართულის მითოლოგიისა აღ.<br>გრანისა. . . . .   | 83  |
| VI «ხმა ლეთისა და ხმა ერისა» (ლეჟი) თ. რაფ.<br>კრისტოვისა. . . . .  | 89  |
| VII. მართული ლიტერატურა წერილი არტურ<br>ლეისტისა . . . . .  | 91  |
| VIII. ლიტურთ, როგორც პედაგოგი გადაღმადისა. . . . .  | 127 |
| IX საიღვან წარმოსდგა ძველქანიაში ყაჩაღობა (სტა-<br>ტია გ. ღვინიაშვილისა) . . . . .  | 159 |
| X დამატება: მასალა ისტორიისათვის. შემოკლე-<br>ბითი აღწერა საქართველოსა შინა მესოკრებთა თა-<br>ვადთა და აზნაურთა გვარებისა.  |     |
| XI ბანცხადეა (უდაზედ).  |     |

# ივერია

საპოლიტიკო და სალიბერალურ  
შუკანალი

წელიწადი მერვე

№ № V & VI



თბილისი

ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე  
1884

6045-



Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Мая 1884 г.

# ლ ე ლ ი ა

რომანი

ქორე - ზანდისა

(შემდეგი\*)

## IX

დაწვრილებით, სათუძუკლიანად, არ მოგიყვები შენ ჩემს  
ამხავს, იმისთვის, რომ ძალიან გაგარტყლდება, დაიწყო ლელოამ:  
— გიამბობ მხოლოდ ჩემი შინაგანი სულის მდგომარეობას.  
შენ სომ იცი, რომ ბუნებისაგან უსვად ვიყავ დასახუქრებული:  
სიღამაზე, ტანადობა და საღი ჟანი მონიჭებული მქონდა საი-  
მოკნებით ცხოვრებისათვის. ჩემი სიყმაწვილე სავსეა გამოუთქმე-  
ლი ვოეზიით და სასიამოვნო წარსულის მოგონებით; თან-და-  
თან ჩამდენიცი ვიზრდებოდი, ვითარდებოდა ჩემში თავისუფლე-  
ბის გრძნობა და მიზიდულება დამოუკიდებლობისადმი. სიყვა-  
რულის ნიჭი და გრძნობა იმოდნად ძლიერი იყო ჩემში, რომ  
მე აღტაცებით შევემკვლელობოდი ყოველს ცოტათი მანც ვა-  
ტივისცემის ღირსს აჩსებსა. აი შეგხვდი ერთს კაცს და  
შევიყვარე. იმ ერთს მივაპყარ მთელი ჩემი გულის თქმის სიმა-

\*) «ივერია» № 4, 1884 წ.

სვილე და მოწარმებელი გრძნობანი, რომელთა გარდაცემა სხვა ანსებისათვის აუცილებლად საჭირო იყო ჩემთვის, რადგან არ ვიცოდი, სად დამესარჯა ძალა გულისა და გონებისა, მე შევქმენ ის ჩემთვის კერძად, რომელიც ვაი ჩემდა! ძალე იქმნა გადმოგდებულ კარგსლ-ბეგადამ. ზირველში შევეჭტეოდი უძლიერების სურვილის კვეთების დამათრებელის ძალით; სასოგადო აზრის წინააღმდეგ შებრძოლება იყო ჩემთვის დღესასწაულად, მაგრამ ვაი! ჩქარა დაიწყო ჩემთვის უძმიესი ბრძოლა—ბრძოლა იმ კერძის სარწმუნად, რომელიც მევე ისე ძრვილ აჯამადლე და რომელსაც დანარჩენ ხალხთან შედარებას არ ეკადრებდი! მართლაც იმაზე უკეთეს კერავის ზვირველი: ის კარგი იყო ჭკვიანი, მართალი, დიდ-სულოვანი, კეთილ-შობილი და იმას მსგავსს სხვას არ შევხვედრებოდა.

— რაღა ნაკვლავობება ჭკონდა? ჭკითსა ვუღესერაიმ.

— იმას უნდოდა, რომ შექეთვისებინა ის შესედულება დედათა სქესზედ, რომელიც კაცთა ნათესაობამ დაისაყუთრა მრთელ საუკუნოებში. ის მიყვება და მიაღერსება, როგორც ბავშვსა. გულის თქმა იმაში უფრო ძლიერი იყო ვიდრე ჩემში, მაგრამ ის გულის თქმა ღვიოდა ჩემდამი მხოლოდ როგორც დედა-კაცისადმი, მაშინ როდესაც მე მიყვარდა იგი, როგორც კაცი და ამ გვარსავე სიუპარულს ველოდი მისგან სანაცვლოდ. მე არ შემეძლო დავმოჩინებოდი იმ გარემოებას, რომ იგი ცდილობდა არ მიმეღო არავითარი მოხაწილება იმის ცხვრების საუკეთესო ინტერესებთა განსიღვასა და განსჯაში და უნდოდა რამ ჩემი გონება და აზრი სრულ უსაქმობას მისცემოდა. ვი ნუ გეგონება, რომ განუშორებლად ჩემთან ყოფნას ვსთხოვდი, ანუ ყოველ იმის ნაბიჯის გადადგმას უურს ვუგდებდი. სრულიადაც არა! მე ესცდილობდი არაფერში არ დამებრყოლე-

ბინა, მსოფლივ გამეგო, მივხვედრილ ვიყავ იმის გონებრივს და საზოგადო ინტერესებს, და ნათლად გავგებულს, მასთან ერთად გამეზიარნა იგინი. უნებლიედ შევნიშნე, რომ კაცები ძალაღან გამძლავრებულ მნიშვნელობას აძლევენ თავიანთ საზოგადო თანამდებობას, რომელშიაც ბევრი ფუქსიავატი და წვრილმანი საქმეებია. მე მეგონა, რომ ამ საქმიანობაში უმეტესი წესიერებისა და სისწორის შეტანა და სამდგოლი საბრკელებლობის მოტანა შეიძლებოდა. მაგრამ როდესაც ვაწინააღმდეგობას ჩემი აზრი, დიდად აღელდა და მიზანს უხს, რომ ძრიელ უკვირს იმას რაზედ ვხსენებ, რას ვცდილობ, როდესაც ვოკელო ჩემი სურვილი დაკმაყოფილებულია, და ჩემი ცხოვრების მდგომარეობა ასე ბრწყინვალეა? ბრძნე მოჭყავდა და საწყენად მიაჩნდა ჩემი ფილოსოფოსური გულ-გრილობა განცხრომასა და სიმდიდრისადმი. ის ნაღვლიანის სიტუებით მომაგონებდა ხოლმე, რომ დედა-კაცი ვარ და რომ მძიმე საზრუნავი მიზიდულა ჩემთვის მიუწოდომელია. ამ გვარს შეტაკება იყო ხოლმე მიზეზი, რომ ერთმანეთს უნდობლად ვეჭვოდით, იმას კი შიგა და შიგ სინანულის გრძნობა, სიუვარულის ყინი მეტის განცხროვებით მოუკლავდა ხოლმე. მაგრამ ამ მხურვალე სიუვარულის ყინიანობამ ჩხუბისა და აყალ-მყალის დროს დაჭკარვა ჩემთვის თავისი მიზიდულება და გაშორების წინადაც გამოსაღმების ნიშნად ვსახავდი. მაშინ ის გულ-გრილობას და უგრძობლობას მავედრებდა; გული მოსდიოდა, რომ ისეთი ბავშვი აღარ ვიყავ, როგორც იმას ჭსურდა, რომ ყვარუნებით ჩემი გართობა აღარ შეიძლებოდა. ბოლოს როცა დაინახა, რომ მე იმაზე უფრო დრმად ვუტყარი ცხოვრებას და არ ვსჭერდები წვრილმან საქმიანობას, აღმოფოთდა და დამიწყო უკედრება დედა-კაცურ ნაკლებეკვანებისათვის, რომელნიც კითომი ჩვენში ბუნებას დაუნერგნა

რომ ვითომ დედა-კაცს ცოდნაც ცოტა აქვს, შეუსმენელიც არის და ცუდად ადარდობს. ის კიდევ მეტადინებდა ჩემი მისაღამი გრძნობა დაემდებლებინა, თვით სჯულობად და თავ-მოყვარეობად მითვლიდა მამა-კაცზე უმადლესად დეომის სურვილს. როგორც კი ყველა ამის თქმა დაასრულა, მე ვიგრძენ, რომ იგი აღარ მიყვარდა.

— ეგ ამის ბრალი არ არის, უთხრა პუღსერიამ: — ეგ საზოგადოების ბრალია, რომელიც ხელს უძაბრთავს მაგ შესედულობას დედა-კაცებზედ.

— განა მე არ ვიცი ეგა? უპასუხა ლელიამ: — განა მე არ ვიცი ეგა, რომ ყველა უბედურება ჩვენგან არ მომდინარეობს, და წარმოსდგება საზოგადოების წყობილებისაგან! ამბობენ, რომ განგება განაგებს ჭაბობრიობის სვესაო: სად იყო მეჩუისა — ის — იმ დროს, როდესაც ვაჩთა ნათესაობას მოუვიდა პირველად ფიჭვად ერთი სჭესის საუკუნოდ თანაგრძობობაში და მოწინააღმდეგეობაში დაყენება მეორესადმი. მხოლოდ ერთის ეადნიერის ინსტიტუტის ზე პირუტყულ თვით-ნებობის მიზეზი უნდა იყოს, რომ მამა-კაცს დედა-კაცი მოხად და საკუთრებად გაუხდია. შესაძლოა ამ გვარ დამოკიდებულებაში არსებობდეს მათ შორის რაიმე პატიოსნური საყვარელი და ერთ-გულობა? შეიძლება იყოს სსკა ვაჭობი, ვაჩდა ძალადობისა, მათ შორის, რომლებშიც ერთს მხარეს აქვს უფლება ყველა მოითხოვოს და მეორე მხარეს არა აქვს ნება უარისა? რა აზრი და მოქმედება და შეიძლება, რომ საერთო ჭჭინდეთ მათ? განა შესაძლებელია ასე და გრძნობა განუზარეონ ერთმანეთს უფაღმა და მოხამ? იუნდა წარმოვიდგინოთ, რომ ვაჩი არ ბორბოტ-მოქმედობს თავის უფლებით, მაინც ამისი ქრევა მეგობარ ქალთან მიუძღვარება მზრუნველის ქრევას შეგიძლათ. მაგრამ განსხვავება

იმათში არის, რომ შეგირდი რადესი გაიზღება, სხვის უფლებიდან გამომავალი და მოითხოვს განცხადებულ უფლებას, მასში რომელიმე სხვის უფლებიდან გამომავლის დრო დედა კაცს არასოდეს არ მოუკვამ და განდევნილი აქვს მართლი თავის სიცოცხლე დარჩეს ბავშვად. თუ ქვეყანაზედ არის უსამართლოება ბუნების წინააღმდეგ, საზოგადოება ყოველწ მათის ჩამდენი, რადგან მართლ კაცთა ნათესავის ნახევარს საუკუნოდ ბავშვობაში სტოვებს!

— მე თანახმა ვარ შენა, გაცხადებით უთხრა ჰუფსერამ:

— მათისათვის შეგვირდებოდა კიდევ ცოლ-ქმრების კავშირი, მათისათვის არ ვისურვე დამეჭირა მათ საზოგადოებაში ადგილი, ჩემდგარვიყავ იმათ ცოლებში და პირ-სათნობით მეჩვენებინა ამ უკანასკნელებსავით, რომ კიდამ მწამს სახეურება და ქველ-მოქმედება, მასინ რომც ნამდვირად, დასჯას კერძები. განა არ შემეძლო სწორედ ესევე დამეკმაყოფილებინა ჩემი სურვილის უნებანი, როგორც ესლა ვიკმაყოფილებ თუ დავთანხმებოდი ცრუსასიერების პირ-ბადე ჩამომეფარებინა და კანონიერ ქმრის მივარკველობის ქვეშ ვყოფილავიყავ.

— შენ უფრო გაბედვით და მარტივად მოქცეულხარ, უთხრა ლელომ:— მაგრამ მართლა ბედნიერი ვი ხარ მაგით?

ჰუფსერამ შეგონა და ვერ უზასუნხარა.

— არა, შენ არ შეგიძლიან ბედნიერი იყო, განაგრძელა ლელომ:— არც ერთი გამარჯვება და დღესასწაული არ განურუებს შენში სუკდას რომელიმე კაცის გულისთვის. შენ ყველასთვის დასთმობდი ერთის კაცის შემენისათვის, მასინ რომელიმე შენზედ ყველანი მიფლობელბუნ. მე მგონია, რომ რომელიმე კაც შენ შეგხვდება ჩაეკრა სხვაზედ უკეთეს და კეთილ-შობილ კაცის მივარდა, შენ მწარედ უნდა იტანჯებოდე და გენახებოდეს

რომ თქვენში გულისთავი კავშირი არა არის-რა. ნუ თუ ეს გა-  
უთავებელი კომედიის სიუჟეტისა შენ არ გელაღსებს? მე მგო-  
ნია, რომ რამდენსაც უფრო მეტად მისდევ ტვინი ფუფუნე-  
ბას გულის დაუხმარებლად, იმდენად უფრო უმეტესად გტან-  
ჯავს მოუკლავი წყურვილი სიუჟეტისა!

პულხერიამ ხმა-მალლა გადაკასკასა, მეტი თვალებზე ხე-  
ლები მიიფარა და ასტირდა. რამდენსაც წამს გასტანა სინუ-  
მემ, ბოლოს პულხერიამ მოაწმინდა ცრემლები და ჭკითხა:

— ნუ თუ შენ არ გადაუხადე შენ საუკარეს? ნუ თუ შენ  
არა სძებნე მეორედ სიუჟეტისა?

— მომეძებნა იმისთვის, რომ სხვასთანაც იგივე დრამა და-  
მეწყო გატყუებისა და მწუხარებისა? უზასუნს ლელოამ:— ეგ ცუ-  
დი შურის-ძიება იქნებოდა თუ ჩემს ნაცნობთ შორის უკე-  
ლად უკეთესმა ვერ შესძლო დაკავშირებისა, რას უნდა  
მოკვლადე დანაწიენთავან!

— შენი გული ლელოამ ჯერ დამშვიდებული არ არის. შენ  
ტანხება დაკარგული ბედნიერება, შენ კიდევ გსურს და ეტე  
სიუჟეტისა, ამისაგან წარმოსდგება უკვალა შენი ტანჯვანი!

— ეგ მართალია, უთხრა ლელოამ მოწყენით, — რა არ მო-  
ვიქმედე, რომ დამეთრგუნა ჩემში კაცისადმი მიზიდულობის  
სურვილი და გრძნობა, მაგრამ ვერ შევიძლე! ამოდ კვლადე  
განმარტობით გამეცეინა და გაბეყინულებისა გული, სორ-  
ცის მოკვდინების ფიქრით, მაგრამ მოკვლადე მხოლოდ და სი-  
ცოცხლე კი ვერ ამოკვლადე იქიდან. ესლა იტყვნულებისა ჟურ-  
ნალში და წინააღმდეგობაში ჩავეარდი. მე პოეტის შეუკარე-  
ბასა ვცდილობ. ჯერ-ჯერობით თაყვანს სცემს იგი იმ იდეას,  
რასაც მე თაყვანს ვსცემდი სიუჟეტისა, მაგრამ ვშიშობ.

რომ დროთა-ვითარებით ისიც ისეთივე ფუქსავატი ეგონისტი არ გახდეს, როგორც სხვანი არიან.

— მე გავიგონე, რომ შენ იცნობ ვალმარინას, უზასუხა ჰულხერამი:— რომ მონაწილეობაცა გაქვს იმ უცნაურის კაცის საიდუმლო მოქმედებაში. ამბობენ, რომ კიდევ არ დაბერებულა, და ძლიერი ხასიათის კაცია. რატომ ის არ გიყვარს? განა იმას სიყვარული სძაგს?

— არა, ეგრე არ არის უზასუხა ლელამი — იმას სხვა იდეალი აქვს. ვაცობრიობისადმი სიყვარულმა შთანთქა მასში სხვა გვარი სიყვარულის გრძნობა; მას ცხორებაში იმისთანა ელდა და მწუსარება შესხედრია, რომ ყოველივე პირადი ბედნიერების იმედი გაჭჭრობია. იყო იმისთანა ყაბი, რომ ჩვენ შეგვიძლო შეერთება; მაგრამ ახლა გვიანლანა.

— რატომ არ მიწბამდი იმას და არ დაადგები კეთილ-მოქმედებას? შენი ხასიათის ბუნებრივის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ჰპობდი შენ ქველ-მოქმედებაში.

— ოჰ, ყველა მაგ გვარს საჭმეს ვაკეთებ, მაგრამ ვერ ვხელობ ბედნიერებას!

— იმისთვის, რომ შენ ქველ-მოქმედებ მხოლოდ ცნობის-მოყვარეობისათვის. მაგ შემთხვევაში მე გვფობივარ: მე ნამდვილ სიამოვნებასა ვგრძნობ, როცა შემთხვევა მაქვს დაჟერიგო დარბებს ოქროები, რომელსაც მდიდრები მაძლევენ.

— ეგ იმისთვის, რომ შენ შეგრჩენია კიდევ ნორჩი და ხელ-შეუსებული გრძნობანი. შენ გულის სრულებით არ უცხობინია; შენი ცხობრება მუდმივი ახალ-გაზდობანა.

— ვმადლობ ღმერთსა! უზასუხა ჰულხერამი:— მე გულ-კეთილობა მაინცა შემჩნა, და შენ კი, თუცა სახიერი და კაცთ-მოყვარე ხარ, ესეც არ შეგრჩენია.

— დიად, მე მდაბლად დაგეცო, უთხრა ლელიამ:— მე არ შემიძლიან მიუვარდეს კაცობრიობა, იმისთვის, რომ ის იქამდის არის გაფუჭებული, იქამდის განირქიანდა უწესურ და უმზგავსად დაწესებულებათა შორის, რომ მე არ მჯერა თუ იგი განვითარებას და წინ-მსვლელობას შეიძლებს.

— განაგრძე შენი ამბავი, უთხრა ზულხერიამ:— შენ ჯერ ბოლომდის არ ვითქვამს.

— ჩემის სამწუხაროდ განთავებულის სიყვარულის შემდეგ, განაგრძელა ლელიამ:— მე მინდოდა გამეჭრო ჩემში ტანჯვისა და სიცოცხლის ნიჭი, და ამ საგნისათვის უმჯობეს საშუალებად დავინახე განმარტობა. ჩემს მამულში იდგა ერთი დატოვებული და თითქმის დანგრეული მონასტერი; მე დავბინავდი იმ მონასტრის ერთს სენაკში. იმ ადგილის ვრცელ მამოწყობას თავის ერთ-გვარის უარაობით და მუუდროებით. ვიმედოვნებდი, რომ აქ ანაჟინ ამიღუფებდა ფიქრებსა, ამ მართლობაში და განათლებულ ხალხს მოშორებული, სასტიკ განდევნილ ცხოვრებაში ვიპოვებდი იმ განსვენებას, რომელსაც ელტოდა ჩემი სული. მე მქონდა მხოლოდ ერთი სურვილი: დამემარცხა ჩემი არსება ამ ნანგრევთა და ნატყმალთ შორის, მომეკვდინა ყოველი ჩვეული ჩემი ცხოველი გრძნობანი, და დაუბრუნებულ-ვიყავ ქვეყნად შეუპოვარი და მტკიცედ ამტანი ყოველ-გვარის სვე-უბედურობისა. სულის გაკერძებისათვის, ხორცის შევიწროებას შეუდგე, მინდოდა სრულიად უგრძნობელი გამსვლარ-ვიყავ მატერიისაგან კეთილის ცხოვრებისათვის. არ წავიყვანე თან არც ერთი მოსამსახურე, მხოლოდ მივეც განვარდულება, რომ ყოველ დღით მოეტანათ ზური და საზრდოთ სკამარი-სი ხორავი მონასტრის გარეშე გაღურებისა, საიდანაც შემდეგ მე შევიტანიდი ხალხი.

მაგრამ ესურ ან ვიკმარე და ჩემს თავს მძიმე საკანონო დაგსდე. განუწყვეტელ მტირე საქმეებით. მე უმაწვილობითვე მოძრაობას ვიყავ შეჩვეული, რასაც შეძლების ქონვა ხელს უმართავს; მე მიუყარდა სიარული ჩქარი ცხენით, მოგზაურობა, მხიარული ნადირობა, წმინდა ჭაერში სეირნობა; აქ მე გარდავსწყვიტე გამეჭრო და მომეკვდინა ჩემში ყოველი ხალისი მოძრაობისა და არ გადამიდგამს ნაბიჯი, იმას გარეთ, რაც საჭირო არ იყო ჩემთვის საზრდოს. მოსაპოებლად, განვიზომე თვით სიგრძეც სასიარულოდ. ამ დაწყებულეებამ ნამდვილად დამამშვიდა მე დროებით ალელეება მიმკვლარდა, ტანჯვა მისუსტდა და ჩემთვის დადგა დრო სააძურის მოსვენებისა. მაგრამ ამ დასვენებაში ჩემი ნიჭი გამსწვდა, განასლდა, გაცოცხლდა და ხელახლად მოითხოვა მოქმედება. განმარტოებამ და მოთვქრებამ მომცა მე ასალი, უცოდინარი გრძნობანი, რომელნიც განგებისაგან წყალობათ მივიდე. მე დასატანჯველს გამოსატყველ განახად ვი აღარ ვსთვლიდი, სიამოვნებით ვაღარულებდი და ვგრძნობდი ძალას, რომ შემიძლიან ავიტანო ეს ნაკლებულეება. მე შეეუდეუ სწავლას; ვსწავლობდი ბატანივას, და მთელი საათები ვუჯექ სამეცნიერო წიგნებს. საქმის ბეჯითობაში, ვგონებდი მიმეძინებინა აზრი, მიმეკუსტებინა იგი და მომეკვლა მისი ძლიერება, მაგრამ როგორ მოვსტყუედი! აზრი უფრო გამიღონიერდა და უფრო თავლ-ნათლად გამიორკვა. მე მეგონა, რომ ბუნების შესწავლას უნდა გავქარებინა გულის ზრახვანი, რომ სწავლა პოეტურს. აღტარებასთან არ მოთავსდებოდა; წინააღმდეგ ამისა განჩქევამ და გონებრივად დაკვირვებამ უფრო შორს დამახანვა, განმინათლა ყოველი საგანი და წარსულთა ნაცვლად ახალი საჩქმენი გამომძინა. მეცნიერებამ წამართვა წარმოდგენილი ოცნებანი და მომცა საუნჯე; ნაცვლად

იმისა, რომ ჩემი გული, გამშრალიყო და ჩაობებულიყო, მაცროცხლებელი წყაროები იპოვა. იმ დროს დადგა გაჩაფხული; გარეული კვინისხის ბუჩქები გადიფურჩნენ განსპეტაკებული ყვავილებით; ზღვის კოთხეულები მშვენების სურნელებით გარდაიშლნენ ტბის კიდეებზე; შოშიები ავსებდნენ ჭკერს გალობით; შორიდან მოაღწევდა ჩემ ყურამდინ ცხვრების ბლავილი და ძაღლების ყუფა; დაღვრემილი მონასტრის კედლები შეიმოსნენ და გალამაზდნენ ახალი შესამოსლით; სვეტებს შეეხვივნენ ფათალოს კავები; ნაყოფის მომცემმა ხეებმა, დარჩენილ ძველ ბაღში, ყვავილები გამოისხეს, ფოთლოხალის და რუხედის სუნი უერთდებოდა ციმციმ ჭკერს. მზის სხივის გავლენამ და სიმშატიურმა დღა-მიწისაგან აღმოერთქვლამ და ახლად გადაღწეულმა ქვეყნიერებამ გამოუთქმელად ამაღელვა, და ჩემი გული მოიცვა სვედამ და განურჩევალ სურვილებმა. ხელმოკრედ სიუმაწვილე პირველზედ უმეტესად ფეთქამდა ჩემს გულში; მე მინდოდა კიდევ სიცოცხლე და სიუვარული, ეს აზრი კიდევ მაშიშებდა და თან მიხაროდა. მაგრამ წარსულმა გამოცდილმა ტანჯვამ მასწავეს არ გაუყოლოდი იმედებს; ვიცოდი რომ დაუუნსლოკვდებოდი თუ არა ხალსსა, ჩემს გულს მოსწამლავდა ნაღველი, და მტკიცედ გარდავსწვივით აღმესრულებინა წინად განზრახული მოსაზრება, ორი წელიწადი მანტ დაგრჩენილიყავ ასე განდგილად.

მაგრამ ამ გვარ ცსოვრებამ დაჭკარვა ჩემთვის თავისი სიმშვენებურ და პოეტური მიმზიდველობა; სული შემიტოვდა, შევიკიწოვდი ჩემს სადგურში. შეჯახული, ნება-ყოფლობით აღთქმის დადებით; ისე ვიტანჯებოდი, როგორც ტუსადი საპყრობილეს რკინის მოაჯირში. ძილ-გაფეთხობილი ჩემს სუნაგ-

ში, დაწვებოდი ციკს საფლავის ქვეშედ, და გათენებადის ცრემლით ვიბანებოდი.

ამ საშინელ დამეების შემდეგ, დგებოდა ჩემთვის დღეები გაყინულის ცხოვრებისა; მაშინ ჩემი ცხოვრება განდგილთა ცხოვრებას მიემზგავებოდა, იმ განდგილთა, რომელთაც ბერის მოთმინებით და მონაწილის მოწილებით თავიანთი პირიუბება სრულად დაუთრგუნვიათ. მე ნულად ავივლიდი და ჩავალიდი სოლმე ერთსა და იგივე ბიჭიკაზე; ვგალობდი ერთსა და იგივე ჭიმნებს, და არ მესმოდა ახრი ნათქვამი სიტყუებისა.

ამ გვარს ცხოვრებას შეუუძელ რაი ზამთარი, შემდეგ კი მოთმინებამ დამიწყო დღაღამი. ადრინდელზე უფრო გამხსნეკებული შევიქნენ, მაგრამ აღშფოთებული და სეკდისაგან დაზურბილი ვიყავ. სასტიკი საკანონო რამელიც ისე ხალისით ვივისრე, თავი მოსაწონად ვი აღარ მიჩვენებოდა, სამძიმო ტვირთად მიმაჩნდა. ხასიათი წამისდა, მოწილება უგრძობობად გადაქცნა, აზრები ამერიკა, თითქო რაღაც ბნელმა ქარიშხალმა მიმიფანტა მომიფანტა. ტყუილად-ღა ვსცდილობდი აწმუელ დასჯერებოდი; თვალ-წინ მელანდებოდა ჩვენებანი რაღაც მომაკალი იმედებისა, რაღაც ახალის ცხოვრებისა. «რას ვიზოვი ქვეყნიერებაში ამისთანას, რომ ჯერ არ ვიცოდე? ვეკითხებოდი ჩემს თავსა. რა სქმე უნდა იზოვებოდეს იქ დედა-გატებისათვის? რწმუნება ალა-რადურისა არა დამჩენია-რა, ქვეყნის შეცვლა ვი მე არ შემიძლიან. ამ ტანჯვასა და ბრძოლასში, დადგა გაზაფხული თავის წვიმძანის ტაროსითა და პირველი ვაავდრება ისეთი ძლიერი იყო, რომ ეკლესიის კედლები ირყეოდა ქუხილისაგან.

წყვდიადმა მოიცვა არე-მარე. წვიმა კოკი-პირულად ასხამდა; ქარიშხალი ატრიალებდა ჭარში მტვერსა და გლეჯდა კედ-

ლებიდან გაბძულ მცენარეებს: მე თან მეშინოდა და თან მიამებოდა, იმ დამეს ტკბილად დამეძინა ქაჩიშხალის სმასკედ. საშინელმა ტუქა-ჭუსილმა გამომადგომა, ფანჯარიდამ გაეხსნა და დაჰინასე, რომ ჩამოინგრა ერთი ზეთი გალერქია. იმის შემდეგ დასაჩხენი კედლებიც მოჭყენენ ჭრატუნს და მეორე კუთხე შესობისა ჩამოიჭრა; ჩემს გარეშემო ყველაფერი ინგროდა და აჭა. მეც მომიხლოდა საშინელი ძალა დაზგრევისა და დარღვევისა: ბანი და კედლები ჩემი სადგომისა ირყოდნენ სტიქიონებსა ძლიერებისაგან. ინსტიუტიურად უნებურის მოძრაობით გავექანე ვარებისაგან, მაგრამ შიგ ვარებში გამახერხა მოთუქრებამ. რისთვის და სად მივრბი? რად მეშინის სიკვდილისა, მეორე იმისთანა მშენიერის სიკვდილისა, როგორც სიკვდილი მესისაგან, რომელიც ნანგრევებ ქვეშ დამიარხავს. ამ ფიქრით დაუბრუნდი უგანე და დაესწამ კედელთან. რამდენსამე საათის შემდეგ ჩამოიჭრა იგი და მე დავეარგე გონება.

მე გადამარჩინა სიკვდილსა, შემთხვევით ნიაღვრის დროს მიმაკალმა, ირლანდიის მღვდელმა. უგანასკნელი კედელი მონასტრისა იმის დროს ჩამოწვა; გაიგონა ჩემი კვნესა, ნანგრევებიდამ ამომადრო. სულში აყვანილი წამიყვანა იქიდან და მომარჩინა. ამ მღვდელს ეწვეა მაგნუსი. მას შემდეგ, რაც ისევე ხელახლად დავიტირე ამ ქვეყნიერებაში ჩემი ადგილი, ადრინდელზე უფრო გამწარებულ ცხოვრებაში ვარ. აღარ მინდოდა გამხდარკვიავ ვისიმე მონად ესე იგი საყვარლად; არც ერთს გაცთან არ მინდოდა უზნურის წესით შეკვრულკვიავ, გამეხად იგი ჩემი უფალი და დამეთრგუნებინა ჩემი ჰიროკნება; მანც კი დავებედი და მწუროდა ბუდნიერება! სიყვარულის ნიჭი არ დამეკარგა და რომ წარმოდგენითაც არის კმაყოფილება მიმელო, მე შეიყვარებდი ხან ერთის დღით, ხან ერთი საათით, მეზიდ-

კანტის თუ მოძაწონებდა თავს თავის სელაგონურის დაკვრით, ან ფილასოფოსებს და ინსწავლებს, რომელთანაც შემსჯელობდა ბასი და მუსაიფი, ხან სცენაზე მოთამაშე აკტიორსა, ხან ლექსების დამწერს პოეტს. მე საშინელებით და სირცხვილეული ვაღვიარებ, რომ ჩემი გული ვაცვდა, დაწვრილმანდა ამ დასამცირებელ და დამაუძღურებელ თამაშობით, გრძნობანი დამიწუნგდნენ, გული დაჰკნა, მე ვეღარ ამაღლეებს ვერა რა გრძნობა ძლიერის და გატაცებულის მღელვარებით. მე მთრგუნავს სვედა და უსაქმობა ამ ჩამშალ საზოგადოებაში, რომლის ვერხად დაუდგენიათ—სიძლიდრე და განცხრომა. იდიოტებს, რომელთაგანაც იგი შესდგება, უგვირთ და ამბობენ, რაღა უნდა და აკლდეს, რთდესაც ისე მდიდარია და მით შეუძლიან ამ ქვეყნის ნეტარებით დასტებესო. სხვა ვგარი ხიტებობა, სიმდიდრის ვარეშე წარმოშობილი, მართვის გაუგებარია.

X

ლელოს მოთხრობამ პულსურია ძალიან დაათქრა. კარგა ხანის სიჩუმის შემდეგ აიხარა თავი, თამამად გადიწია უკან თავის ხუჭუჭი კულულები და წამოხტა ფესზედ რაღაც დარდიმანდულის ალტაცებით.

— თუ ავრეა, შექვევია იმან:—უნდა ვილხინოთ! უნდა ვარდებით დავიგვირგვინოთ თავი, როგორც შევლმა გეტერებმა, და პირამდინ აღვაგსოთ მხიარულების ფილა! იქით გარდაგადოთ იდეალური სიუვარული და პატოოსნება, ჩვენ უიმისოთაც მოვასერებთ ფუფუნებს! განა ღირს დასანანებლად, რომ ვაცნობა ვერ გვიცნეს; შური ვიძიოთ, გავეიცნოთ კაცები.

თუ შენ არ გინდა ამ რჩევას მიტყუე, ერთი გზაა დაგრჩენისა: წადი მონასტერში, და იქ მიახუარ შენი გონება სიბრძნის მოკვდინებაზე სწავლას, ასკეტიზმს!

— არ შემიძლიან პულსებია; შენ გაიწყდება, რომ მე სხვა დედა-გაწყობისათვის არა მწამს კრიალოვანის წმინდანობა, წესები და აღთქმანი. რა მონაზონი ვიქნები!

— მეც მაგას გეუბნები, უპასუხა პულსებია: — თუ მონაზონობა არ შეგიძლიან, გახდი მამ დიაცო. სიბრძნე უფრო ადვილად დაემყოფილება, ვინემ ცხოვრებას. გეუბნება ამდენი რცხებით ცხოვრება, ნუ გძულს შენი სიღამაზე, ნახავ როგორც მაღე აუკავდება იგი ნეტარებისათვის!... შენ კიდევ ბევრს მოეწონები აღტაცებით; ავი გნასე კაცები როგორ დაგდეკდნენ უკან! წავიდეთ აი იქ, ბნელ ხეივანებსკენ; სუდამ იქ მოჩანს რქო-მკედით ნაკერი ტანისამოსი და ჭუდებსე თეთრი ბუმბულები. რამოდენი უმაწვილი და ლამაზი კაცები არიან იქა, და სწეურინთ სიყვარული! წავიდეთ ლეღია, შენ გეუბნები წავიდეთ! მე ყველას ვიცი. მივიდეთ იმათთან; შენ მოსმინე იმათი ლაპარაკი, კომპლიმენტები, შენ მხარზე იგრძნობ იმათ მსურვალე სუნთქვას და იქნება განიღვიძოს შენში სურვილი, რომ გაერთო ყველაფერში, რაც კი ამ ქვეყნად შესაძლებელია!

— რა, პულსებია, განა არ ვიცი, განა არ მეყვარები?

— შენ გულით და სულით გიყვარდა ის კაცი; შენ არ გამოციდია მარტო გრძნობით სიყვარული და არ შეგიძლიან განსაჯო რა ფუფუნება და სიამოვნებაა ამ გვარ სიყვარულში.

აქ პულსებია გაიყვალა თან ლეღია და ჩუმად განაგრძო ლაპარაკი:

— ვამბოვნი, ჯერ რიდე გაიკეთე, იქნება შენ არ ისურვო შენი თავ-მოსაწონი სახელი, საღანძვრად გარდგედი საღესსა.

ჩემი დომინოსთანა დომინო ჩაიცვი, რომ შენ მაგიერ ვეკონო-  
ვებლას, ჩვენ ტანათაც ვეკვართ ერთმანეთსა და სმითაც, უშიშ-  
რად შეგიძლიან შენის სიმაღლიდამ ჩამოსვიდე და გამიცვალო-  
როლი, წავიდეთ ჩქარა!...

ხალხმა განაშორა ორივე დანი, მასშინ ჩოდესაც ოთახი-  
დან გამოდიოდნენ ტერასაზე, ორივე ერთ-ნაირი დომინოებით  
მოართულები; გზის უცოდინრობის გამო ლელია გაჭყვა სხვა  
მასკებს და მიაღწია იმ კუთხეს ბაღისას, რომელიც დანიშნული  
იყო რჩეულ პირთათვის. ბამბუჩის გამკებლები შეუნიშნავად  
დაჩაჯობდნენ იმ წვანე ლაზირინტის კარებებს, და მოაწყობდნენ  
შეკლა ეჭვიანებს და ნამუსის სასტიკად დამცველ პირებს; მარ-  
ტო მასკიანი ქალები შედიოდნენ იქა. ეს იყო უშიშარი ადგი-  
ლი მეგობართა შესახვედრად, რომელთაც არა სურდათ თა-  
ვიანთი დამოკიდებულების გამოცხადება; უმეტესი ნაწილი იქ  
წვილ-წვილად დასვირნობდნენ და დას-დასად მხარ-გვერდით  
იმალებოდნენ მიბნელებულ ხეივანში, რომელსაც სახელად აფ-  
როდიტას ტერასებით მოხვეულ პავილიონთან მიჭყავდა...

ეს იყო რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა ლელიამ ამ საშე-  
შარ სროკასაკენ, როგორც იმის გვერდით მოისმა ჰაიტყვანი:  
აი ზინზოლინა! აკერა ისა!

გარს მოეხვია მასკებიანი დასი ყმაწვილ-კაცებისა.

— ზინზოლინა, განა შენ ვერ გვიცანი? განა შესაძლებელია  
ძველი მეგობრების დავიწყება? მკლავი გამოიყარე, წავიდეთ ძველ  
დმერთაებს ვსცუთ თავიანი!

— ნუ გაუგონებ მაგას, უთხრა მეორემ და ლელიას ხელის  
დაჭერას ცდილობდა: — მოიგონე, რომ პირველად მე გაგაცანი  
სიყვარულის საიდუმლო და შენ სხვაში არ უნდა გამიცვალო-  
სდე არ არის ჩემო მტრად?

აქ მიუახლოვდა მალაღ-მალაღი ისპანოელი და ძალათ გა-  
მხარტვა ლელის სულა.

— მე ამომარჩია: ზინზილინამ, სთქვა იმან: — მე ამის მიწა-  
წყლის შილი ვარ და ეს არა ვისზედ არ გამცვლი.

— ზინზოლინას არა აქვს მშობელი ქვეყანა, ეგ მრთელ ქვე-  
ყანას ეკუთვნის! შეჭვივრა ბოროტ.

— მოდი წილი ვუარეთ, ვის ერტოს! მოისმა სმა.

— წილის ურას ეს არა სჯობს! სთქვა ერთმა და ამოდლო  
ხმალო. სხვებმაც იმიშველეს ხანჯლები; ბამბუჩის სალხი მოკ-  
შველა გასაშველებლად, ლელის კი სწრაფად მიიძალა. ერთს  
სეივანში შესვდა მას რუსეთის თავადი.

— ზინზოლინა, მხლელად ერთი საათო შემდევარე, უთხრა  
იმან: — მე შენ განუქებ ამ ბრილიანტის ჯაჭვსა.

ლელის ზინზლით შეიძრა, მიკვიდა კიდეც ფრანტურის დიდ  
კაცი და ჭბირდებოდა თავის სასახლეს, კვიპაყს და ცხენებს.

— საჩუქარით რატო მაცდუნებო? უთხრა მათ ლელამ: —  
სჩანს იმედო არა გაქვსთ სიამოვნება რამე მიიყვანო? სჩანს  
თქვენი აღფრისი ძალისა საძაგელი და საზინზლარა, თუ იმის  
ნაცვლად აგრე ძვირფასად საჩუქრებო? თქვენ სხუელის უბრა-  
ლო ლტოლვილებაც არა გწამთ? მამ რაღა გჯერათ?

ლელამ გარდისადა თავის კაშიშონი, და ხალხი უკუდგა  
იმის ფერ-მიხდილ და ამხარტანულ შესედულობის წინაშე.

— შენ უარ-ჭყოფ კიდეც შენ განზრახულებას? უმასუხა პულ-  
ხეკიამ, შეაყენა იგი გრძელ ატლასის სახელზე ხელის მოკი-  
დებოთ — ნუ შეკრებო, შენი დრო ჯერ არ დამდგარა.

— ჩემი დრო არადეს არ მჯერა, უმასუხა ლელამ: — მე  
სულაც არ მომწონს ესა, და კიდეც მამოფოთებს. ეგენი ისეთი  
თავსედნი არიან, ისე ცდილდ გარყვნილნი, რომ მეც გავიყინებო

ძაგათთან და ვი არ გავცოცხლდები: არა! ზულხერიან, შენ რაც გინდა სთქვი, მაგრამ დედა-გაცი ისეთი ტლანჩი საკრავი არ არის, რომელმაც ხმა გამოსტყეს პირველ შესხედრილ კაცის მივარებით. ქალის აკებულება უფრო რთულია და საჭიროა ძლიერად ძაღლის გამოსაწვევლად სიმშატია და სულთქი თვისტომობა მისდამი. რასაკვირველია, ყოველ ჯან-მრთელ აკებულებას შეუძლიან იგრძნოს ფიზიკური სიამოვნება; მაგრამ ამ სიამოვნების მეტი რომ არა იცოდეს-რც, უნდა ძალიან საწყლად და მცირედ იყოს დასაჩუქრებულა! კაცისთვის სხვაც უნდა იყოს რამე სიყვარულში, გარდა პირუტყული მოჭმელებისა.

— თუ აგრეს, ლელო, მე შენ წაგყვან ერთს ღამაზე ყმაწვილთან, რომელსაც ამაოდ ვცდილობდი შემეცდინა, იქნება სიბრალულმა უფრო მომეტებული გავლენა აქონიოს შენზედ.

ლელო უფიქრლად გაჭყვა თავის დასა, განკებ გამოქვამულ მღვიმეში, რომელიც ზატარა ღამით იყო განათებული.

— მოითმინეთ, უთხრა წყნარად ზულხერიან, და შეაყენა ლელო:— დასედე ამ ნახს. ჯაბუგსა; იცნობ ამას?

— რასაკვირველია, ვიცნობ, უმასუნს ლელომ:— ეს სტენიო არის. რას აკეთებს აქ ამ გამოქვამულში? ვგონებ ეს აფროდიტის ჰავილიონში ასასვლელი სვრულია.

— არაფერს აკეთებს; სიყვარულსთვის ჭკარგავს გონებას, უმასუნს ზულხერიან, და ოლიანდროს ბუნქის იქით დასტოვა ლელო, თითონ მიეპარა უკანდამ და სურდა კვინა სტენიოსათვის.

— დამანებეთ თავი, უთხრა ყმაწვილმა-განამ:— მე სრულეა ბითაც არა მსურს თქვენი ალერსი. მე ავი გითხარით, რომ შეცდომით გამოგყვით თქვენ უკან, თქვენი ხმა მივამზგავსე

სხვა ქალის ხმასა. მე ვინც ვესალა თქვენ ვინცა სარტო, და არ ვსაჭიროებ გასასყიდ ადურსსა. ჩემთვის ამ ქვეყანაში მხოლოდ ერთი ქალი არსებობს, რომელსედაც მითხარით თქვენ რომ აქ იმყოფება. მართალი სთქვით?

— მართალია, უზასუსა პულხერიაძე:— წამომყევით მე, ამ ბნელ თაღისაკენ, მე მიგიყვანთ თქვენ იმასთან.

— თქვენ სტყუით, სიტყვა ჩამოართვა სტენიომ:— თქვენ დამპირდით მე იმის აქ მოყვანას და არ აღასრულეთ სიტყვა.

— შენ ჯერ მე გამოგონე, შინაურულაი უზასუსა ზინზო-ლინამ:— ლელის სამი შენ არ უყვარხარ და არც რადისმე უყვარები. რად ღუბამ შენ სიყმაწვილეს მაგ ტროფობისთვის? ქვეყანაზედ ბევრი სინარულაი ულელითაც; შენ მომწონხარ; შემიყვარე რამდენიმე საათით; მე შენ ნუგეშს გცემ, გადაგასა-ლისებ, დაგამშვიდებ და ხვალევე ისევე გარდაგცემ შენ რომანიულ გვირსა.

— დამანებეთ თაგი, დამანებეთ, განიმეორა სტენიომ აყინებოთ;— თქვენ ლელის არა სარტო, და მე თქვენგან არა მინდა-რა. ნეტარებას მომცემს მე მხოლოდ ლელის; თუ ის უარ-მყოფს, მე ვინცნოვრებ მარტოდ და არ წავიპილწები გასასყიდი სვენიოთა.

— ლელის, მოდი აქა, უთხრა პულხერიაძე, ხელი ჰკრა თავის დას სტენიოსაკენ:— დასასრუტრე ამისთანა სამაგალითო სიმტკიცე!

მაგრამ ამავე წამს, სიბნელის შემწეობით, ისევე იქით მი-აყენა ლელის და მარდათ ჩადგა იმის ადგილას და უთხრა სტენიოს ლელის ხმით:

— ოჰ, ჩემო პოეტო! შეხმა სიმტკიცემ შემარყია, წავიდეთ ერთად.

პულსურიაში ჩაჭვიდნა სელი სელსა და წაიყვანა მიბნელებულ ცივს თაღისაგენ, რომელიც აჭა-იჭა ჩამოკიდებული ლამპებით იყო განათებული. სტენიო თართოდა და ეგონა, რომ ეგულა ამას სიზმარში სედავდა. ისეთი ალექსებული იყო, რომ აღარც კი ჭკითხა, სად მიჭყავდა იგი. ის მხოლოდ გრძნობდა თავის სელს ლელის სელში.

როდესაც მათ გაიარეს მიწის ქვეშ გალერეისში, სტენიოს თანა-მოგზაურმა გამოსწია აბრაშუმის ზონარს, და უცრად, თითქმის მანქანებით, იმათ წინ განელა კარები. ისინი ავადნენ მარმარილოს კიბეზედ აფროდიტას პავილიონში, და რბილ ხალიჩებზედ განაგრძელებს სვლა. სტენიოს მოეჩვენა სიბნელები, რომ იმათ გვერდით მისდევდა ვიღაც დედა-კაცი, ლელის მგზავსად ჩაცმული, მაგრამ არ მიაჭვია ყურადღება, იმისთვის რომ ლელის ეჭირა იმ დროს იმისი სელი. შესვლის უმაღლდიდრულ ბუდუარში მამინკე გააჭრო მან მთლათ სანთლები, მოიხსნა მასკა და მოუჯდა გვერდით სტენიოს ატლასის მდივანზედ. იმ წამში ვიღასიც უჩინარმა ხელმა ჩაუკეტა მათ კარები....

ლელა მალე გამოვიდა, ანუ უმჯობესია ესთქვათ, გამოკარდა ოთახიდან და დასტოვა სტენიო და ზინზოლინა ერთად.....

## XI

როდესაც სტენიომ, თავისი დამძიმებული თავი აიღო ბაღშიდამ, ფრინველთ გალობა განთიადს აცხადებდა. გორიზონტს განათლდა და გრილი დილის ჭაერი შემოდინდა თან-

ჯერბიდამ და შეეხებოდა უმაწვილი-კაცის ოფლიან და მკრთალ პირისასუს. პირველი იმის მოძრაობის სურვილი ლელისა ვარდასკენა იყო, მაგრამ იმან პირ-ბადე გაიკეთა და რდნავ სული ჭკობა და ანიშნა, რომ ჩემათ ყოფილიყო. ძალ-დატანებით წამოდგა სტენიო მოქანტულა მღვლვარებისა და იმ ღამის სურვილებისაგან და მივიდა გაღებულ ფანჯარასთან. ნიაღვარს ვარდასკენა, ზღვის ტალღები ერთგვარის სმით ესლებოდნენ ქვიშის კიდეს და მარმარილოს ტერასის ვიბებს, მორტებს და ფორთხანის სუბს დაესრათ თავი წყლისაკენ და თეთრს სურნელაკან ფოთლებს ჭყრიდენ შიგა. ბამბუჩის სასასლეში მიმქრალიყვნენ სანთლები და აქა-იქა მასკები დაესტებოდნენ ბაღში.

— რა მშვენიერი დილა! შეჭყეობს სტენიომ და სუნთქამდა სულით და გულით გამაცოცხლებელ ჭკობას:— ახ, ჩემო ლელისა! მე ესლა მოვრჩი, მე აღვსდექ მკვდრეთათ, მე ვსცოცხლავ სრულის სიცოცხლით; რა მადლობა გითხრა ამ ბედნიერებისათვის!

— ჩემო ანგელოზო! უზანუსა ლელამ და ვარდასკენა მას:—  
— ისმ შენ ბედნიერი ხარ ესლა?

— არა ვიდეკ, ჯერ სრულად არა. მოისსენ მასკა ლელისა, დამატებ შენის სახის ცქერით, მომეც დაგვარსო შენი ტუჩები!

— მოითმინე, უთხრა ლელამ. გესმის მუზიკა?

მართლადაც, თითქოს სწორედ ზღვიდგან მოისმოდნო, ისე მოდიოდა იმათ ყურამდის ორკესტრის სმა; მალე ფანჯარებს მოუხსლოვდნენ გონდოლები, სამსენი შემუხსიკებით და მასკებითა, იმავე დროს აფროდიტას ჰელიონის ფანჯრები და ბაღონის ვარებები განიღნენ და ბედნიერი წყვილი, მიმდღუღნი შიგნით ბუღუარებში, გამეფიენენ ტერასასკენ; ტან-

მარტოებულნი ეჭვიანები, მცურავნი გონდოლებით, ამაოდ აშტურებდნენ მათ მუშტრის თვალსა; ამათ უკუდამ გამოიცვალეს სანთა და მისკუბი გავიკეთეს, ისე რომ მათი გამოცნობა შეუძლებელი-და იყო.

ლელოს უნდოდა სტენიოს ბაგონზე გატყუება, მაგრამ ღღარ ესაღიარებოდა მას ზღომას; ის მოიცვა ტუბილმა სიზარმაცემ.

— რად მინდა იმათი სიძლერა? უთხრა სტენიომ:— დაკრ-ხეთ აქა!

მაგრამ ის უცებ წამოდგა და შეიჭმუნხა წარბები.

— ვინ იძლერის ისა? იგიითსა იმან უნებლიეთის ყრუოლით.

ეს დედა-კაცის ხმაა, უზასუნა ლელომ:— მიშვნიერი მდიდ-რული ხმაა, შესედე რა სალხი მოგროვდა მის მოსასმენლად!

— იცა? სთქვა სტენიომ ჟერ-გადაკრულმა:— შენ რომ აქ ჩემთან არ იყო, მე შენი ხმა შეგონებოდა. ამასობაში უფრო გარჩევით მოისმოდა ხმა და სტენიო უგდებდა უურსა მარტო-ბის თრთოლით.

— ლელო, სთქვა მან რაღაც საშიშროებით:— მე არ შემიძ-ლიან ამ ხმის გაგონება; გონებას ვკარგავ!

ოკეესტრის ხმამ ერთს წამს დაჭტარა მოძიერლის ხმა; ბოლოს ოკეესტრი გაჩუმდა და მან შეკლასლად დაიძლერა, ამ ხანად ისე ახლოს, რომ სტენიომ შეშფოთებულმა გააღო ფან-ჯარა და გარდაეკიდა იქიდან, რომ დაენახა ვინ იძლეროდა.

— რა არის ესა? ბუტბუტებდა ის, გაცნობული დაშტურე-ბით უმხერდა დედა-კაცს, შუა გონდოლში ძველომსა, და სრუ-ლებით დაავიწყდა ისა, ვასაც იმისი ხელი ეჭინა.

როდესაც პავლიონის ფანჯარას დაუბირდაბირდნენ, ლე-ლომ გონდოლში უცბათ მოისსნა მისკა, მოუბრუნდა სტე-ნიოს, დაცინებით და ხუმრობით დაუქინა მას თავი.

— აი ნამდვილი ლეღია, წამოიხურჩულა მან, ხმა-წასულმა: — ის, რომელიც გვერდით გამიჩინეს, როგორც სიმძარც და მიუფარვის დაცინების დიმილიათ. მაშ ვის მივე მე ჩემი სული და ხორცი? მითხარი ბოროტო სულა, ვინა ხარ შენა? მიჩვენე შენი სახე!

— იხე, უზასუსა დიაცმა და მოიხსნა მასკა. მე მჭვიან ზინზოლიანა, მაგრამ შენთვის მე ლეღია ვარ, ამისთვის რომ გუფლობდი შენ იმის სახელით. კმარა აგრე სასტიკად მხეცა: მე ხომ გაამე ბედნიერება, შენ თითონ მეუბნებოდი მანგისათვის მადლობას.

— გამეცალე აქედამ, თორემ ეს-ეს არის მოგვადი! შეჭვი-რა სტენიომ, აღარ ახსოვდა თავი და ამოიძრო ხანჯალი. ზინზოლიანა გაიჭრა და ტერასიადამ დაცინებით დაუყვირა:

— მშვიდობით პოეტო! ესლა ჩვენ დანიშნულება ვართ, ჩვენ ვიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

\* \* \*

თქვენ ტყუილად მყევდრით მე სტენიო; მე სრულიად არ მინდოდა თქვენი მოტყუება, არც თქვენი დაცინვა, არც მინის მოგება. მე იმისათვის კი არ ჩავგავრეთ ზინზოლიანას მკერდსა, რომ დამეძინებინეთ, არამედ იმიტომ რომ დავკმაფილებულიყავით და განმუთავისუფლებინეთ გამოუკვლევ სურვილების ტანჯვისაგან. დამნაშავე ვარ განა მე, რომ თქვენ უმეტეს მნიშვნელობას აძლევთ იმას, რასაც მაგოდანი მნიშვნელობა არა აქვს? დამნაშავე ვარ მე, რომ მხოლად ერთს წმინდა სიუყარულს არ შეუძლიან დამშვიდოს და განაზრილოს ადგზნებულ თქვენი კვეთება? ამით მხოლად ის მტკიცდება, რომ თქვენი უზომო სურვილის ძალას ვერ შეედრება დავკმაფილების შემდეგ მიღებული ბედნიერება.

მე არ შემიძლიან დაგძრახოთ მისთვის, რომ მიჭყუებით დამამტკობოქელ გრძნობას. მეტი ღონე არა გქონდათ. ყმაწვილთაგან და გამოუცდელთაგან, თქვენ უბრალო ფიზიკური მეთხრობნილება გებრძნათ გულის სიმპატია. ამასთან თქვენნი შეცდომას და ბედის-წერას ჭკუას გასწავლას; ჩემის მხრით ეგ ბოროტ-მოქმედება არ არის, რომ მე ღაბობით სასაღურსოოდ ყმაწვილი და მშვენიერი ქალი, რომელიც თქვენ გეტყვოდნათ. აქ არც გასუიდა იყო, არც ვაჭრობა, ამისთვის რომ პულებერია არა ჭყიდის თავის-თავსა, ის ძნელად თავიანს სტუმს ერთს კერძსა — ფუფუნებსა. სრულად კმაყოფილებით მოგცათ ის, რასაც თხოულათ და თქვენ გრძნობა; რისთვის და გძავთ თქვენ ისა?

სტენიო, მე ვსტადე მეგარებოდით, როგორც დედა-გაცმა და მოაწმეიქი, მაგრამ განა დედა-გაცმის როლი იქ-შია მხოლოდ რომ იგი დედალი იყოს? არა, ამას მე ვერ დავემორჩილები, უმჯობესად ვრაცხამ განმარტობით ვიცხოვრო, სინამ ვიყო მამა-გაცმის ხელში მარტო პირუტყული გრძნობების იარაღად და სხვა არა რად. იყავით ჩემი ძმა და ჩემი შვილი სტენიო, სხვა ყოველივე გრძნობა დასშევით ჩემთვის. მასთან თქვენ გამოფხიზლებით და დანახანით, რომ სიყვარული არ არის მრთელი ცხოვრების საგანი, რომ კაცობრიობის ჭკუისათვის საჭიროა უფრო სხვა-და-სხვა გვარი საზრდო, სინამ მფლობელობა საყვარელი საგნისა. საჭიროა სხვა იდეალები, სხვა შრომანი, სხვა მოქმედება, სიყვარულს გარდა. თქვენ უნდა გაიციანთ ისინი. ვამიგონეთ: აქამდისინ მე ვერ ვბედავდი ერთს საგანზე თქვენთან მოლაშარაკებას, რომელიც მე ახლას შემეხება, ესეა კი მე მგონია მოვიდა ის მარჯვე წამი. მე გიჩვეთ შეუერთდეთ ერთს კაცსა, რომელსაც მრთელი თა-

ვისი სიცოცხლე შეუწირავს კეთილ შობილურ შრომისათვის. თქვენ თითონ სშირად გილაპარაკებიათ ჩემთან ვალმარინსედ, აღტაცებით და დაჟინებით გითხრობიათ იმასთან წამეყვანეთ. მიდით იმასთან ჩემ სასკელობით, მე ახლო ვიცნობ იმას, და იმას საიდუმლოებში უფრო დიშათ ჩახედული ვარ, სინამ თქვენ გგონიათ; ერთი ჩემი სასკელი დაგისხნით თქვენ ყოველ გამოცდისაგან, რომელითაც სწავრთიან ახლად შერიცხულებს. მე ვიდრე ვაძნობე ვალმარინას, ის მიგულით თქვენსა.»

\* \* \*

ლეოა, თქვენ მე დამღუბეთ, წყუღიმიც იყავ! ოჲ, დიად, თქვენ კეთილი და ხარტ და ნარნარი დედა! თქვენ ისეთის უნარობით მიმაგდეთ გარყენილს დედა-კაცის გულზედ და მიცხადებთ, რომ ქვეყანაზედ არ არის წმინდა ბედნიერება და უბიწო საიმოგნება და ჩემს დასარწმუნებლად ხელსა მკრამთ იმ გულისკენ, რომელზედაც ვერ არ ვაწიებულა გოცნა მრთელის ქალაქისა. ვარგია რომ არა გყავთ თქვენ შვილები, ლეოაჲ, თქვენ იქმნებოდით იმათთვის სასტიკი დედი-ნაცვალი.

გმადლობთ სწავლებისათვის გამოცდილ ცხოვრებაზე, მე ესლა უკვალა გავიგე და უკვალაფერს ამაოდ ვსთვლი; მე ვიცი, რომ დედა-მიწაზედ არა სუფევს არც უბიწო სისარული და არც წმინდა სიყვარული. ნაცვლად ამისა არიან მგზნებაზე სურვილები, პირუტყული მოთხრობნილებანი, — და მეც მივეყოფ მათ ხელს, სინამ თავს დავივიწყებდე. . . . . ბარაქლას, ლეოაჲ! თქვენ ნამდვილად დამარწმუნეთ, რომ შუება, გრძობით დათრობა შეიძლება არსებობდეს სიყვარულის ტარეშეტ. თქვენ ხელი მკაცრით მე, ნამაგდეთ ტალახში, გარყვნილების წუმბეში, და მეც იქიდანმ აღარ გამოვალ. მშვიდობით!

## XII

— მე არ გიწინასწარმეტყველებ, ლელო, რომ თქვენ კი მოგივიდოდათ, უუნებობა ვაღმარებნი, მთაწვედ ერთად მიმაგლობის დროსა:—სიყვარული თქვენ არ შეგიძლიანთ, და უსიყვარულოთაც უფონა არ ძალგამთ. უნდა გარდაწვევიტოთ, რამე ჩემის აზრით თქვენ, დიხსი ხანთ სტენილსაგან მწარე საყვედურისა; კეთილმისათვის ბოროტი მიუგეთ. მსოფლოდ მე ვარ თქვენი ერთგული მეგობარი და არ მოგეთყუებით: მე თან-და-თან ვგარტამ თქვენ ზეტივის ცემის. მე ვსულამ, რომ თქვენ გიყვარულ წყალში ტრიალებთ, — გვალი ვი უნდა იზოვოს თქვენი-თანა სსიათის დედაჟაგამა. ზოგიერთა სალასანა პირებისათ, თქვენ არ შეგიძლიანთ, ნაკლულევანება თქვენი მიწვეროთ რა-ღაც კეთილშობილურს ინსტიტუტს; მას აიღეთ ჭეშმარიტებას ღამეზარი და გაინათეთ მიმაღული ვუნტულები თქვენი სულისა. თქვენ მარწმუნებთ ვითომ უოკელივე კავშირი ქვეყნიერებას-თან გაწვეტილი გაქვსთ — ეგ ტყუილია: თქვენში ჩანებულებანი აღეკებულნი გულისთქმინა, მაგრამ დარჩენილად ეიდეკ წკრიმი-ლი საიდუმლოებანი იმათში პირველია დედა-გაცურად თავ-მოყვარეობა. ამპარტანების გამო არ გინდათ დემოკრინილეთ სიყვარული, უოკელი დონისძებით ვი ცდილობთ, რომ თქვენ უყვარდეთ ვისმეს; გესიამოვნება ცქერა შენგან შემსჭვალული გულისა, მისი ლელვა და ტანჯვა. განა კეთილშობილური გართობაა ეს? განა ამაში მდგომარეობს რამე, გარდა ამაღ და ფუქსაკატი თავ-მოყვარეობისა? გაფრთხილდით, არ წაიბოროტოთ ამ გზაზე; ეს გზა უფრო და უფრო შოის შეგიტყუებს. თუ თქვენ შეჩვევით პირფერობს და თავხანის-მცემლობს,

მასინ აუცილებლად საჭირო შეიქმნება შენთვის სალასანა ხალხის საზოგადოება. თქვენ მოინდომებთ იყოლიოთ თქვენ თერხთ წინაშე იმისთანა პირები, ვისიც მცირედა სიმპატიაც არა გაქვს, თქვენ დაუბრუნებთ მეფობას ამ დაკრძალვილ სფერაში, სადაც მხოლოდ საშუალო გონებისა და ჭკუის საზოგადოებაა და მასინ ამ გვარი ცხოვრების სეგდა თქვენ სრულიად დაგმალამთ. თქვენ არ გუოლებათ არც ერთი მეგობარი, გუოლებათ მხოლოდ თაყვანის-მცემლები და ყველას გუთვნილება შეიქმნებით: მე გგონია ეს სულოერი გარყვნილება უარესია ხორციელზე!

ამ ლაპარაკის დროს, ვალმარინი შეჭურება ლელოს და ხან-და-ხან შესწევებდა ხოლმე ბასსა და თითონვე შიშობდა თავის სიტყვების მოჭმელებაზედ. არას დროს არ უნახავს ის ასე აღელვებულად; ლელოა მიდიოდა წინ დაუხედავად; გული საშინლად აჩქარებით უცემდა, შავი წარბები შეეჭმუნა, შუბლზე გუგურ-გუგური ოფლი გამოუვიდა. იყო შუა-ღამე, მთვარე უნათებდა გზასა, და ისინა მიდიოდნენ უსაგნოთ მთის წვერისაკენ.

როდესაც ვალმარინი განუიდა, ლელოამ დაიკრიფა გულხელი და მიუბრუნდა მას მოჭურვებულის შესვლადობით; შემდეგ ჩამოჯდა გამოწეულ კლდეზედ და თრთოლით აღაპურა მალა სელები, შორს, ვარსკვლავებისაკენ.

— თქვენ იტანჯებით ლელოავ? ჰკითხა შეწუხებულმა ვალმარინმა. მე ძალიან სასტიკად გელაპარაკებთ თქვენა?

— დიად, უხასუსა მან:— თქვენ ჩემი ამპარტანება მთლად გაჭქელეთ და თუ-ჭქეშ გასრისეთ. ამ სიტყვასზედ ის წამოდგა, ავად სულ მალად მთაზედ, რამდენსამე ხანს იდგა და შემდეგ მიწარედ გაიხარხარა.

— რა დაგეძარათათ? ჰკითხა ვალმარინმა მწუნარებით: — ავათა სარტ?

— არა, უზასუსა ლელოამ: — მე ვიცინი ჩემს წარსულს იდეალურად, პოეტ სტენილზედ, რომელიც ესლა ქეიფობს გარყვნილ დედა-კაცებში.

მაშინ ვალმარინმა გაიხედა ქალაქისკენ და დანახა შოკის სასახლე დიაცის შინზღოვანსი, გაბრწყინებული ტერცლებით მოქეიფებულთაგის. მიუტრიალდა იგი ლელოას: ის იჯდა დედა-მიწაზედ და მწარეთ სტიროდა.

— საბრალო, საბრალო! სთქვა მან: — თქვენ გტანჯავთ ეჭვი.

— თქვენ ვერ მიმიხვდით მე, უზასუსა მან: — მე ვაცს ვიარა ვსტირი, არამედ ჩემს ოცნების გაქრობას, ჩემის ფანტაზიის განადგურებას, რომელიც ისე მომწონდა! სტენილადან არის; იმის ნაცვლად შის დუქანში ვიღაც გარყვნილი ლოთი... ჩემო სატრფიალო, ჩემო იდეალო, რა იქენ?...

ვალმარინმა გამოართვა ხელი, ურჩევდა დამშვიდებას და უნდოდა იმ ალაგიდან წაეყვანა, მაგრამ ლელოამ ხელი ჰკრა.

— დამანებეთ თავი, დამანებეთ! სთქვა მან: — თქვენ მე არ მიცნობთ, თქვენ რომელიმე აზრის შესასრულებლად დაგჭირდებათ მრთელი წელიწადები მოსათუქრებლად, ჩემთვის კი საკმაოა ერთი საათი! ნუ გეშინიანთ ჩემი; როდესაც ამ მთიდგან ჩავალ, მეც ისე ციკვად და დამშვიდებული ვიქმნები, როგორც თქვენ... დამაცადეთ მხოლოდ გამოკვსალმო ყოველსავე ამას და სამუდამოდ ბოლო მოუღო.

ის გაჩუმდა და დიდ-ხანს იჯდა ერთს ადგილს უძრავად.

— მამ თქვენ ამბობთ, სთქვა მან დაწუნარებით ბოლოს: — რომ როდესაც ის შევიდა ჩემი დის ბუდუარში და დანახა ჩემი გამოქანდაკებული სახე, ზედ მიაქცია თავისი სტაქანი? და ვი-

დეე ისა, რომ ცუცხლი მოუვიდა ფუნჯსა ჩემი უგანასკნელი მიწერილის წიგნითა?...

— მე ვინაობ რომ უკვლა ვაძმბეთ, უზასუსა ვაღმარინმა: — მაშინ მე მეგონა, რომ ამით გაგამაგებდით, მაგრამ ესლა ვსე-  
დაჲ, რომ არაფერი სარგებლობა არა მოგიტანეთ-რჲ და უფ-  
რო მწკაკად ვგიშაღეთ წყლულები.

— არა, უზასუსა იმან: — მაგას ნუ ფიქრობთ. ესლა არაფე-  
რი შეურაცხ-ყოფა იმის მხრით არ შემაძრევს. მე. იქ, აფრო-  
დიტას პავლიონში, — აი სად მივიღე მე შეურაცხება! მაშინ,  
როდესაც დიაცის ხელი მიიღო ჩემს ხელად, იმისა ტუჩები  
ჩემ ტუჩებად, იმისი გული ჩემ გულად! მაშინ, როდესაც მე-  
უხნებოდა: არა დაგეძარათა დღეს, ჩემო საყვარელო? შენ მე  
მწკამ შენის სუნთქვით, მხოლოდ ესლა გგონობ, რომ მიყვარ-  
ხარ შენ; წინათ ის საყვარული არ იყო!

— როგორ გამოიცნობდა მეზე ამ სასტიკს მოტყუებას,  
რომელიც თქვენ იმას მოუხერხეთ?

— მოუხერხეთ! გეფიცებით, არა, როდესაც მე მივხდედი  
ოთხავს ბნელ გაღვრეაში, მე მეგონა, რომ სულ სსვა  
გამოვიდოდა, რომ ის ვერ მოსტყუებოდა. ნუ თუ  
თქვენ ფიქრობთ, რომ იმიტომ მივხდედი მათ რომ იმით  
აღვრსს დავსწრებოდი? მე სომ მიყვარდა ვაზუგი-პოეტი!  
მე კიდევ ვარდავსწვიტე დამევიწეებინა ჩემი განზრახვა და  
დამეწერა ჯვარი მასზედ. მე მეგონა, რომ კარგად მოვი-  
დოდით ერთმანეთთან. მაგრამ წინათვე მიხდოდა კარგად  
გამომეცადნა იმის ხსიათი, იმის საყვარელის ძალა, და  
ჩემი საკუთარიცა, რომ შემდეგში სანანური არა ვგჭონოდა-  
რა. აი ამისათვის ვექცეოდი ისე იმას და არა იმისთვის, რო-  
გორც თქვენ ამბობთ, ვითამ დამეახლოებინოს დედა-კაცური

თავ-მოყვარეობის დასაცემად მოვიდეთ და ვთხოვთ, რომ მე არ აკნაობდეს იმ ნათელ ქმნილებაში ბუდობდა მატლი, რომელიც მშინვე გამოცოცდა გასეთ, როგორც კი გამოიწვია დიაცის მისხლეკებაში!

— ახ, ლელოა, სიტყვა ჩამოაწვას ვაღმარებმა: — ეგ ხომ ეჭვიანობაა? თქვენ გალამაზებთ ეჭვი და სიყვარული?

— სიტყვით, დამშვიდებით უმასუსა ლელოამ: — ეჭვიან და სიყვარულმაც დიდი ხანია თავი დამანებეს. მე ვაღვიარებ რომ სიშინლათ შემწარს და მანუსებდა, ამითთან რომ ვიყავი ბნელ-ბუდუასში. მე თითქმის გვერდით გუჯექ სტენიოს და ხან-და-ხან ჩემი დის მაგიერ ველამაზებოდი, და იმან ვერ იცნო ვერც ჩემი ხმა და ვერც სიტყვები. თუ კი მე ვსუდავდი ბნელში, ის რატომ აღარ მხედავდა? ხელსაც მოჭვიდებდა ხოლმე ჩემს ხელს და ინსტიგტიურადვე დაანებებდა თავსა, სხვის ხელის მოსაგიდებლად! როდესაც დაინახე, რომ პულსურია გულზედ მიდგება, მე ძლივსა მკვიპოვე დონე, რომ ავმდგარვიყავ და გამოკეტეულიყავ. ზაღმიაც კი რომ დაედიოდი, უურში მიდგამის ადგილებზედ გულს რხვას და ალექსიანე სიტყვები! მე სწორეთ ტრახლი გამოვიარე და აღარ მახსოვს, როგორ ჩაგვქეპს პირველ ჩამოკლილ გონდოლში.

— დიად, თქვენ ისეთი ფერ-მგერთალი იყავით, როდესაც დაგვქეპთ ჩემს გვერდით ფიცარზედ, შენიშნა ვაღმარებმა: — რომ მე შემეშინდა. განა ამ გვარი შეწუხება სიყვარულს არ ამტკიცებს?

— ნუ თუ არ გესმით თქვენა, რომ სტენიოსზედ წმინტების დაკარგვა ისე გულსაკლავი იყო ჩემთვის, როგორც მშობლისათვის თავის ბავშვის უცებ გულიდან მოშორება. კიდევ იმიტომ ვიტანჯები, რომ ესაა აღარ მიყვარს მე ისა. ანც კი მა-

შინ დამიკარგამს გონება; მე ჩაგიფუქით თქვენ გონდოლში, თითქმის მომაკვდავი. არ გაუგოთ რის საათს, მე ვიდექ ნაკის ბოლოზე და გაცხარებულ ვიძღვროდი ლექსებს! იქ მყოფთ სიმღერის მოყვარულებმა ყველამ აღვიარეს რომ ისე კარგად არსად არ მიძღვრნია. მას აქეთ სამმა დღემ გაიარა; თქვენც იცით რომ არ მიჩვენებია მცირედი უგმაყოფილება არც პუფხერისათვის და არც სტენიონისათვის. არა, მე უფრო ვსცდილობდი ნუგეშის-ცემას და არ კაკლებდი ჩემს მეგობრობას.

— მას რადა ხართ აგრე აღეფიქვებულნი? იმისთვის, რომ არ შიადო თქვენი მეგობრობა და ნება-ყოფლობით გახდა პუფხერის სატროფო?

— მას იმასედი ფიქრიც არა ღირს, სიტყვა ჩამოართო ლექსიამ:— გზაზე დახვედრილ დამძალ ლექსსავით იქით უნდა გარდავაგდო! წავიდეთ აქედამ; მე აქ საქმე აღარა მაქვს-რა: ბრძოლა გამითავება.

ლექსიამ შეიკრიფა და გამოჰკრა თავის გაწეწილ თმები, ვაღმარინი და ის ხელ-ჩაკიდებულნი ჩამოვიდნენ მთიდან, ქალაქის ბოლოზე მდებარე გზასედი. მისი ნაბიჯი იყო მტკიცე და აუჩქარებელი.

— ჩვენ არ მივდივართ ჩვენ გზისაკენ, უთხრა მას თანამოგზაურმა.

— ეს არის ჩემი გზა, უზასუხა ლექსიამ:— დაბრუნდით ქალაქში თუ გნებამთ, მე კი თავის დღეში აღარ ვადმოკვამიჯვებ მაგის კედელსა... .

— მე სრულებითაც არა მწამს ეგეთი უტყბი გარდაწვევათილება, სთქვა ვაღმარინმა:— მაგას ყოველთვის მოზღვეს წინააღმდეგი მოქმედება.

— დიად, თუ აღსრულება შეგვიანდება, უზასუხა ლექსიამ:—

ვიდრე გარდასწევადე, საჭიროა მოფიქრება; რაკი გარდასწევადე ტამ, უნდა მაშინვე იმოქმედო.

— საით მივდივართ ჩვენ? ჭკითხა ვალმარინმა.

— გავექცეთ წარსულსა, უზასუსა ლელამ ჩაჩინვით.

რაკი რაკი დაიწყო. ისინი მიადგნენ ლელას და წინ გადადობილ ატესილ ტყესა, სადაც ლელვისა და მირტის სკების შუა მიიკლავებოდა ანკარა ნაკადული. მწვანეთ გადაღანებულ ვრცელ მინდორზედ სმოკდა თითქმის გარეული ნახირი. ეს მხარე იყო მდიდარი და მივარდნილი; აქა-იქა მოსჩანდა მწვანეებში ჩაფლულნი სადგომი ფერები.

შორს გორიზონტზე ლელამ შენიშნა, მთის ძირას, რაღაც თეთრი ზოლია შენობისა.

— ეს რა არის? ჭკითხა იმან თავის თანამოგზაურს: თეთრი მიწის მთა არის, თუ ვისიმე სასახლე?

— ეს დედათ სადგურია—მონასტერი წმ. მარიაშისა, უზასუსა ვალმარინმა.

— გამიგონია, სთქვა ლელამ:—წავიდეთ გავსინჯოთ.

— კარგი, უზასუსა ვალმარინმა:—გაგებს იქ არ შეუშვებენ, მე მოგიცდი გართა.

ამ სასახლის მშენიერებაში ორთავიანი გააოცა; პირველად ისინი შევიდნენ თეთრ მარმარილოს თაღან გრძელ გალერეაში, რომელსაც პირის ფერი და ლურჯი ძარღვიანი მარმარილოს კარფინურის სვეტები ჭჭუნდა; სვეტებსა და სვეტებს შუა იდგნენ მაღასიტის ვაზები სურნელოვანის საბრის ბუჩქებით.

გალერეას იქით თვალად უწოდებელი ეზოები იყო, რომელთაც შიგნით შენობაში შეჭყავდა. საღიზის მზგავსად მშენიერის ყვაილებით ატრელებული კვლები გასს შემოხვეოდა, რომელზედაც ბრწყინამაღ დილის ნაში, კერტსლით ნაქსოვი მარ-

მასისავით. ყვავილთ შორის იყვნენ შადრევნები, აღმასის მზგავ-  
სად იხნოდა მზგავდ წყალის შხაპები და სტვიროდა ეშმის აუ-  
ზებში, სადაც სტურავდენ ჭროლა იხუბები, ზურმუხტის მზგავსი  
გულებით. გარს უკლიდნენ უმშვენაერესნი ჩინეთის ხოხობნი,  
ერთად თარშავანგებთან, რომელნიც ათრევდნენ ბრწყინვალე ბო-  
ლოებს ამწვანებულ მოლზედ.

სინამ ლელია, თითქოს მანქანებით მოხიბლული, იდგა ამ  
მხატრობისგან, მოულოდნელად შიგნით ოთახებიდან იმათ მო-  
ესმით გასაოცარი ორღანოს სმა, გარს შემოიღუდულ მსუბუ-  
ჭი გაღავნიდამ. ამ ხმას განიმეორებდა წვრილად ჰარმონიული  
ხმა ქალებისა. ცას უწევდა იმათი ღოცვა. ლელია დიდ ხანს  
უგდებდა ყურს სიამოვნების დუმილით, შემდეგ საჩქაროდ გას-  
წია შესავალ კარებისაკენ და მიეთარა ვალმარინას თვალთავან.

მოთმინებით ელოდა ის რამდენსამე საათს, მხოლოდ  
მასინ, როდესაც სიცხემ გადაიარა და მზე გადიწურა, გაბე-  
და შიგნითა გაღავანთან ზარის ჩამორეკა და სთხოვა კარე-  
ბის მტკელს ლელიას დამახება. რამდენსამე წამის შემდეგ მას  
მოუტანეს ლელიასგან ყვავილი, რომელიც სიძვოლიურს ენა-  
ზედ ნიშნაძმა «მშვიდობითო.» ვალმარინამ თითონ ასწავლა  
ლელიას აღმოსავლეთის ეშლემების მნიშვნელობა. ამ ყვავილის  
დანახვავად ის მიხვდა, რომ ლელია ესალმება მას საუკუნოდ.

\* \* \*

«ლელია, თქვენ იცით, რა საქმესაც შევსწირე ჩემი სიცოცხ-  
ლე. ჩემი უბედური ძმანი ხელახლად მიწვევენ თავანთან, მეც  
მივდივარ მიუახლოვდე გამარჯვებისა თუ დამარცხებაში. უტკვე-  
ლია კვლავ დაგებრუნდები და ჩვენ ერთმანეთს ვვლავ ვნახამთ,  
ამისათვის გწერთ თქვენსა. არ დაგიძლავთ, რომ კათოლიკე-  
ბის მონასტერში თქვენ მიერ თავის შეთარება მაკვირვებს მე.»

გიცი რომ უმავწილობისას საწმენოებს დიდი გავლენა ჰქონდა თქვენზედ, მაგრამ მე შეძლება დაგიჯერო, რომ თქვენ ხელახლად მიუბრუნდეთ იმავე წმენას. გვეირობ, რომ არ მოინდომეთ ზიზადათ ხემთან გამოსაღება. მე ვგონებ ხელი რომ გამოუწვდინოთ ძველ მეგობარს მოაჯიროდნ, შესანიშნავი ქვეყნიური და ცოდვილი მოქმედება არ იქნება. მხოლოდ მოუძღვრებულ მდგომარეობაში მყოფი კაცი აძლევს მნიშვნელობას ამისთანა მცირეებსა. თუ მართლად ისურვეთ რაღაც ფუქსავატი ალთქმების აღსრულება, მე ძალიან მეშინიან, რომ თქვენი სული დასუსტებული და ავთ-მყოფი არ იყოს.

«თქვენ დაყინებით უარს ჭყოფთ სტენიოს სიუვარულს, ყოველი თქვენი მოქმედება კი ამტკიცებს, რომ ის საცოდავი სიუვარული ისეა გგონისთ თქვენა. მოიფიქრეთ ამხელ კარგად: ან მიჭყვეით ამ სიუვარულს და ან ამოჭვლიჯეთ იგი ფესვიანად. ნახევრად ამოგლეჯა მისი კი არას გარკებთ. მშვიდობით! ნუ თუ ისე უნდა წავიდე აქედან, რომ არავითარი თქვენი ამბავი არ გავიგო?»

\* \* \*

«ამისთანა მდგომარეობა შეხვდება ცხოვრებაში კაცსა, რომ არც მეგობრობას, არც სიბრძნულს არ შეუძლიან არაფრით დახმარება; მხოლოდ თითონვე უნდა იყოს თავის მეურნალობა და მშველელიც. იქნება მე უფრო უმეტესათ ვიტანჯები, სინამ თქვენ გგონიათ, მაგრამ მე არ მიუყოლივარ არც ერთს ფუქსავატ დაწესებულ ჩვეულებას. მე ისე მოველ აქა, ვითარცა ავთ-მყოფი, რომელიც წება საავთ-მყოფოში მსწინარი რამის მოსარიდებლად. თუ კი ყველანი სწამლობენ ხორციელს სხეულებას, ვითომ რატომ არ უნდა ვიწამლოთ თავი სულის ავთ-მყოფობაში შესაბამის წამლებითა? დიდი ხანია ჩემ უურებს

ბუყილია გააქვს და თავი გაოგნებული მაჭვს, მე უნდა დავემ-  
წყვილო განმარტობით სენაჰში, ჩემი აზრების გამოსაკვლევე-  
ლად და სელასლად გაგმაგრდე ცხოვრებისთვის, მაშინ მე ისევ  
მივმართამ თქვენს რჩევას და ნუგეშს ვიპოვი თქვენ მეგობრო-  
ბაში; ესლა ვი ჩემთვის რა გამოსადგია.

«გალმარინო, თქვენ არ შეუძლიანთ ნამდვილად ჩემი გა-  
მოკნობა; თქვენ საქმის კაცი ხართ: თქვენ სმლითა და ცულოთ  
გაიკვლიეთ ფართო გზა თქვენთვის, ყოველთვის კერ მისკდე-  
ბით სსკებს რა მიწეში აბრკოლებს. თქვენ გაჭვსთ საგანა  
ცხოვრებაში, მე რომ კაცი ეფოფილიყუვი, მეც მეჭნებოდა საგა-  
\*) ეს მცირე შენიშვნა, დაწერილი, როგორც ზედაც ეტყობა, ძიებისა და მეცნიერების მოყვარულის მიერ, ჩვენ მივიღეთ ალექსი გრანისაგან, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლეთ ენათა განყოფილებაზე სწავლობს.

განში, მხოლოდ ახლად ქვეყანაზე გამოწვეულში სეისის გენოლოგიის ნიჭითა.

რადგანაც ვიცი, რომ მომატებულმა ქართველმა თითქმის არა იცის-რა თავის ძველი მითოლოგიისა, რომელიც ევროპის მეცნიერთათვისაც გამოურჩეველად ბნელაა ზარატუსტრასეულის სარწმუნოების (ზოროასტრიზმი) ელემენტებს გარდა და ბერძნულის ელემენტების ზედ-მოქმედებას გარდა, (ეს ელემენტები იქნება არშაკუნიანების, არშაკიდების დროს აღმოჩენილიყვნენ, — ამიტომ ვბედავ მცირე ესკიზის ძღვნას ქართველთა ტომის რამდენსამე ძველს რწმუნებაზე. აქედამ გამოკრიცხავ ძურძუკის ელემენტს, რომელზედაც ოდესმე ცალკე მოვილაშა-რაკვებ საკუთარის წერილით.

ვირეული სიტყვა და მომატებულად ცნობილი სიტყვა არის სახელი ქართველის ერის ზეპირ თქმულობითის გვირისა (ეპონიმისა) — ქართლოსისა. ქართლის ცხოვრებაში მოხსენებულა თქმულება, რომ სხვათა ღმერთთა მსახურებათა შორის ძველთა ქართველთა «საფიცარი იყო საფლავი ქართლოსისა.» ამან მაიმულა გამომეძა ამ სიტყვაში არა გვირის (ეპონიმის) სახელი, აქამომდე გეოგრაფიულის აზრით ზმარებულა, რაგორც ადრე ჰგონებდნენ, — არამედ სახელი უფროსის ღმერთისა, რომელიც დარჩენილია ძველს ლეგენდებში და რომლის სახელსაც ირქმევდნენ თვითონ მრთელი ტომები, ანუ ამ სახელს სხვანა ირქმევდნენ. ამ გვარს წოდებას სხვა ხალხებშიაც ვხვდავთ, რაგორც მაგალითად ასურელები, თავის-თავს უწოდებდნენ «ძენი ასურისნი»: აქედამ მიიღეს სახელწოდება თავისი; ამ გვარათვე ისრაელნი უწოდებდნენ თავის-თავს «ძენი იაგუისნი» და სხვანი.

ჩემი მოსაზრება მტკიცდება იმით, რომ ვანის წარწერებ-

ში იზოკება უფროსის ღვთაების სახელი ქალდის (Khaldis), რომელშიაც თემა სიტუებისა არის ქალდი, და ს დაბოლოებას სახელობითის ბრუნვისა: ამასთან უნდა შევნიშნოთ იქვე ტერმინატიკური დაბოლოება ქალდიდი, სწორი, ქართულის მოთხოვნითის ბრუნვისა — ქალდი-მან.

ფესვი სახელისა «ქართლს» ცხადია, რომ არის ქართლი; აქნება ადრე უაფილა ქართლი, რადგანაც ფრიად დასაჯერებელია, რომ ტერმინატიკური დაბოლოება ღი არსებობდა მრთელს ქართულის ენების გრუპში, მერე მოეკვთა, და დასრულდა მხოლოდ მიმდევრის ფორმებში. ამ დაბოლოების ნაშთს ვხვდავ მრავალს არსებითს სახელებში, რომელთაც ზმნის სატება არა აქვს; მაგალითად დედელი, მამელი. სოლო ერთგვარობა ე-ასისა და რ-ესი, ე-ონისა და თ-ანისა ჩემის აზრით ცხადია, რადგანაც ამ სახით ერთგვარობა ერთია, როგორც სემიტურის ენებისათვის, აგრეთვე არიულისა და საზოგადოთ უკუელთა ენათათვის.

ფრიად შესაძლებელია, ჩემის აზრით, რომ არიულების შემოსვლით სამხრეთის მხრიდან მოწეული ვანის ტომის მოადრე მცხეთას და აქ მთებზე დაუწეო მსხვერპლის მოტანა ქალდი-ს, როგორც წინათა, ანუ ეს მაინც დარჩა, რომ ძველის ხსოვნით მის სახელსა ჰფიცავდა, როგორც მაგალითად მოხდა მერმელ, მრავალის ხნის შემდეგ, როდესაც ცეცხლის მსახურება გადაკარდა, ქართველები მაინც იფიცავდნენ და დღევანდლამდე ჰფიცებენ მზესა (თქვენს მზეს ვფიცავ!) და ადრე სომხებიც ქრისტიანობის შემს ჰფიცებდნენ «არეგანეს» და ასეა «არეა» დრო და ადგილი ნებას არ მამეებს ვრცლად ქალდის ელტზე ლაშარავისას; ცნობის-მოფარეთა დაუუსახელებ სეისის წერილსა.

აქ მხოლოდ ვბედავ აღვნიშნო ფილოლოგია სიტყვისა, რომელიც დიდ ხანს გამოურკვეველი იყო და ბნელად დარჩენილი. აგრეთვე არ ვამბობ, რას ნიშნავს სიტყვა ქალღირსი, რადგანაც მისი აღსნა ეგუთვნის მომავალს შორეულს დროსა, როდესაც ცნობილი იქნება ყოველივე მხარე ძველად კავკასიის უბნებისა.

\* \* \*

კავადივარ ეტიმოლოგიაზე, სასულდობრ სახალხო ქართულს რეფერენსზე, რომელიც უკვლამ კარგა იცის, მაგრამ არავის ვი არ ესმის:

არალა, არალა, არი, არალა  
 თარი, არი, არალა.

ამ აზრამდე მიმიყვანა სასულები მრთულმა დასმა, რომელიც იწყებან არ-ით სომეხთ ისტორიკოსის მოსე ხორენელის ნაწერში: არმენაკ, არმანის, არა, არამ და ბოლოს სასულწოდებანი ღმერთთა არაღუთა. ამ დროსვე სეისი გვანიშნებს ვანის სოფლისებრ წარწერილობაში ჩრდილოეთის მთებს ნეტარელთა, თითქოს ვანის რაიონში, მთას არაღი-სასას; იქნება ეს იყოს არარატი ან ესლანდელი აღაგეზი; ამ მთაზე ჭჭონდათ სამყოფი არაღუთებს ხორენელის და ჭაუსტ ბიზანტიელის თქმულებითა. ამათს მითს უკავშირებენ ბაბილონის ისტარის (ასტარტის) მითსა. თუ ეს მოსაზრება სწორია და თუნამდვილია მითი, რომ არალი ღმერთები ძველად აღადგენონ და ეს თქმულობანი უკავშირებოდნენ ისტარის თქმულობასა, ცხადია რომ აქ საქმე გაზაფხულის მითს შეეხება, სიყვარულს და მამასადაძე ბუნების ძალთა გამნაყოფიერებულობას.

ბოლო (სიტყვისა არალა) რ-ნი იქნება იყოს დაბოლოება წოდებითის ბრუნვისა, მაჩვენებელი მიმართვისა ამ ბუნების

მართა გამანათლებლებელის მთისადმი ანუ ამ გამანათლებლებელ ღმერთთადმი. რუსული ამ ЛЮЛИ სხვა არა არის-არა, თუ არ მიმაჩთვას სიუჟეტის ღმერთის, ЛЯЛ-ისადმი, რომელსაც იგივე ადგილი უჭირს, როგორც ქართულს არაღის. საინტერესოა ესეც, რომ ქართულს გაზაფხულის ძველ სახელშიაც — არე, დაჩენილს იგივე ფესვი სიტყვისა (არ).

აი ეს მცირედი რამ, რაც კი შევიძლება გამოუმჩნეოთ ცოტად და დაშთენილის ქართულში ტომის უძველესის მითოლოგიისაგან.

დანაშთენბ ღმერთთა სახელები, ქართლის ცხოვრებაში მოხსენებულნი, არ იშლება ვანის წარწერილობათა შორის და უფრო საფიქრებელია, ის სახელები ან ბერძნულად, ან ჯერ გამორკვეული არ არის.

სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ, რომ ხელში არა მაქვს არც ერთი ქართული ზღაპარი, რომ სხვა მხარეებსაც შევხეო. მომავლმა იქნება შეიძლოს უფრო მომატებული გამოარკვეოს. ვბედავ, იმედი ვიქონიო, რომ ჩემი მცირედი შენიშვნა სარგებლობას მოუტანს, მცირეოდენს მაინც, ქართულთა ისტორიის მცოდნეთა და ვითხოვ მომიტონ ცდომილებანი, რადგანაც ეს საქმე ჩემთვის ახალია.

\* \*

შენიშვნა მიუცემითის ბრუნვის ძველ ფორმის შესახებ, პირიქანს ნაცვალ სახელებში.

ქართულს უკვეს პირიქან ნაცვალ სახელებში ჩვენ ვხედავთ ცალკეთ მეოფს ფორმის მიცემითის ბრუნვისას—და ნაცვალად ჩვეულებრივის სა.

რადგანაც საზოგადოდ უველა ენებში ნაცვალ სახელებს

აქვთ არსებული (ძველი, გადაკარდნილი) თორმეტი, უსატილოდ  
აქ ჩვენ უნდა მოვძებნათ ნაშთი ძველის-ძველის ბრუნვისა.

კანის სოლისებრს წარწერებში გვხვდება ადგილობითი  
ბრუნვა დაბოლოებით და. მაგალითად



Pida, Khaldida, arnuvada და სხვანი, საკითხველად, ამა-  
ში ნაშთი ხომ არ არის ძველის locativus-ისა (ადგილო-  
ბითის ბრუნვისა), რადგანაც ვიცით, რომ მიცემითი ბრუნვა  
ქართულს ენაში ხშირად ადგილსა ნიშნავს, მაგალითად, იყო  
არაბეთს როსტეკან, წუნდას, მცხეთას, და სხვანი. შედარება  
სვანურ ენასთან მეტს გვიჩვენებდა.

პლექსი ბრაენ.

«ხმა ღვთისა და ხმა ერისა»

(ნადირშაჰის დროისა.)

ქართლ-კახეთში წამობძანდა თათრის ფაშა ხარკისთვისა, სულ იგლებენ გომლეულათ, — ვინა ზრუნავს ხალხისთვისა?!... ამ წუწვ ფაშას თან დაჭყვება საგარეჯოს მოურავი, უზრუნულებს რაღაცებს, გაიძვერა, სულთ ავი... ერთს დღეს ჩვენი მოურავი, რომ ჩათვრა და დაიღუპა, გამობძანდა გაბერილი და წამოჯდა ნიგოზის ქვეშა.... ამ დროს ერთი ბერი-გატი წინ წაღვა და მოახსენა: «ადღეგრძელოს მოურავი!... მომისმინე ცოტა მენა... მომისმინე, ნუ რას მიწუნ, აგრემც ღმერთი გაგვიძრავებს! — ხალხს ნუ სჩაგრავ და ნუ მძლავრობ, მაგრე ქრეკა არას გარგებს... გლეხი ვარ და გლეხის შვილი, არ შუგშუენის ჩემი რჩევა, მაგრამ, მოხუცს, — თუ არა ვსთქვი — გულს დაღვივით დამეჩნევა... ვინ შენა და ვინ თათრები?... ნუ აბეზღებ ქართველებსა, რას მოგცემენ სიამისოს, რომ ეფერო სპარსელებსა?... სამოყვროთ ხომ არ ვარგიან, მტრად არიან გაფიცულნი, ჩვენს ჯვარს ჭეშობენ, იესოა, ეგევართ მონათ, დაჩაგრულნი!... ისინი ჩვენს სისხლსა ჭსომენ, ამოგესადონ უნდათ სული, დაგვატყვეონ, დაგვწიან, მოგვსრან, ამოგდონ ჩვენი რწმული!... გვედრები, მოურავო, შეისმინე ჩემი რჩევა, თორემ ღმერთი გადაგიხდის და მოგხვდება ხალხის წუკვა!...

დღეს შენა ხარ სვალ სხვა მოვა, რა დაგჩება სამუდამო?...  
 ის არა სჯობს რომ სამართლით ხალხს აამო, შურიც სჭამო!..»

მოურავი გლეხის ჩიევს ჩაუფიქრდა, არ გამწურაღა,  
 გულში მოჭხვდა ყველა სიტუკა, შეათრთოღა, შეამჭვღა...  
 შეუძსა ბერი-კაცსა: «დაგოჭყრებ, ბარაჭაღა!...  
 ამას შენით არას ამბობ...» — და განგებს დააბრაღა!...

თ. რ. ქრისტაფი.

## ქართული ლიტერატურა.

წ ე რ ი ლ ი

არტურ ლეისტისა.

(Literatura Gruzinska, — Artur Leista. Ate-  
neum, Marzee, 1884 r.)

შორეულ აღმოსავლეთის მხრით, კავკასიისა და შავს ზღვას შუა, ძველის კოლხიდის მშენებელს კავკასიურ სცხოვრობს პატარა ერი, რომლის წარსული ცხოვრება ბევრმა არ იცის და რომლის ესლანდელ ცივილიზაციურ მისწრაფებთა დასავლეთი უუნადღებს არ აქცევს. ეს ერი ქრისტიანი ქართველები არიან, როგორც თვით უწოდებენ თავიანთ თავს. წარსული ცხოვრება ამ ერისა, რომლის წარდგენა მილიონამდის ძლივს ადის, თავისის მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება დასავლეთისა აზიის სხვა ტომებს. ისტორიული როლი, რომელიც წილად ხვდა ქართველებს, ბაგრატიონთა დინასტიის დროს და მათს მიფლობელობის უამს კავკასიის მთებიდან არაქსამდის — არის ბრძოლა ისლამის გავრცელების საწინააღმდეგოდ. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იცავდნენ ივინი ამ ბუნებრივს ხიდს ევროპისა და აზიის შორის წინააღმდეგ სპარსთა, არაბთა და ოსმალთა, და ამ ხანგრძლივს ბრძოლაში მათ გიმოაჩინეს უფრო მეტი სიმბოციც და მედგრობა, ვიდრე ევროპიულ კუროსნებმა პალესტინა

ნაში. მთელი ჰეროდი ამ ბრძოლისა წარმოადგენს ძლევა-მო-  
სილობას ნამდვილის ქრისტიანულის რანდობისას, რომლის  
უმთავრესი ხასიათი ძლეურ ჭკვას საშუალო საუკუნეთა ევროპის  
რანდობის ხასიათს. ძველის საქართველოს ბრძოლის უმთავ-  
რეს მიზნად და საბუთად იყო სარწმუნოების და მამულის  
დაცვა, ამიტომაც სამღვდელთა და რანდობა იყო რაი დე-  
და-ბოძი მათის საშუალო-საუკუნეთა საზოგადოებრივის წუობი-  
ლებისა.

ამ ერს, თავისის სიმცირის გამო, არ ჭქონია გავლენა  
კაცობრიობის ისტორიასზე, მაგრამ თავის დანიშნულებას (მის-  
სიას) კი ასრულებდა შეურყეველად და სახელოვნად. ესევე შე-  
აძლებს ითქვას მათს გონებრივს მოღვაწეობაზე, რომელიც  
თუმიცა ძვირფასია, ჭეშმარიტად, მაგრამ მანაც ვერ მოუქცა სა-  
კაცობრიო განვითარების საღაროში და ვერც ერთს ლიტერა-  
ტურის ისტორიაში ვერ დაიჭირა სათანადო (შესაბამი) ად-  
გილი. ეს არა თუ მარტო შეურაცხყოფა არის პოეტისა და  
მწერლისა, არამედ საუურხადებო დანაკლისადაც უნდა ჩითვა-  
ლოს ამ ჩვენს დროში, რაცა დასაკლებთა შემოქმედობა და-  
ცემულია. მე ამით ის კი არ მინდა ვსთქვა, ვითომც ქართველთ  
მწიგნობრობა იმისთანა საუნჯეს შეიცვადევს, რომ შეკბ-  
ლოს მთელი ქვეყნიერობის განცვიფრება მუთქი; მაგრამ რაც  
უნდა იყოს მასში მოიპოვება არა ერთი რბოლი მარგალიტი,  
ნამდვილად მშვენიერი და თავისებურის ღირსებით შემკო-  
ბილი.

ეს ჩემი მიმოხილვა არის შემოკლებული ისტორია სა-  
ქართველოს ლიტერატურისა, საქართველოს საზოგადო განვი-  
თარებასთან დაკავშირებით და დაწობილი კლასისგურ დროად  
გან, კიდრე აქამომდე.

## I

ქართულის ენის ჩამომავლობა დღემდე გარდაწვევით გარკვეული არა არის, თუმცა დიდის გულმოდგინებით იკვლევდნენ ამ საგანს. ამას წინადაც გადაცვლილი წევრი პეტერბურგის აკადემიისა ფრანცუზი ბროსე, რომელმაც ზედ-მიწევნით იცნოდა ქართული ენა, და რომელმაც ცხადათ გამოხატა მის განკითხვების მსვლელობა, მონათესაობას ჰპოვებს ქართულის ენისას ინდო-ევროპიულ ენებთან, მაგრამ იმისაკე ფიქრით, თვით ფესვი ქართულ ენისა არაფერს საერთოს არ წარმოადგენს არც ერთ ზემოხსენებულ ენასთან. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ენა ინდო-ევროპიულის შთამომავლობისა არ არის და რომ მის მნიშვნელობაზედ ჰქონდა გავლენა სპარსულს, ზენდურს და სანსკრიტულს და იქნება ეს გავლენა სომხურის ენის შეამავლობით სწარმოობდა. ამ უმად ქართული ენა აჭრელებულია ბევრ სხვა-და-სხვა, მისთვის უცხო სიტყვებით, რომელნიც უფრო სპარსულ და არაბულ ენებიდან არიან შემოღებულნი. ხოლო ამ უგანასკნელს დროს მას შეუთვისეს მრავალი ევროპიული სიტყვები, იმ განზრახვით, რომ იგი თანამედროვე ენა შეაქმნას ევროპიულ ცივილიზაციისა, მაგრამ ეს გარემოება სრულად არ აშვენებს მას. ეს ითქმის მეტადრე ტენიკურ სიტყვების შესახებ, მაგრამ ამას გარდა მომეტებული ნაწილი ქართულ მწერლებისა ამხინჯებენ ევროპიულ სიტყვებს, უმატებენ მათ ქართულ დაბოლოებებს და იმაზედ გოსრულად არა ზრუნავენ, რადენად გაუგებარნი ხდებიან ამის გამო ეს სიტყვები. ამ უცხო სიტყვების შემოღებისა და ენის გარყვნის წინააღმდეგ ზოგიერთნი მწერალნი იბრძვიან ბ. ყიფიანის (?) მოთავეობით

და ცდილობენ ამ კვარი სიტყვების მაგიერ იხმარებოდეს თანაირი დედა-ენის სიტყვები.

წერის შემოღებას ქართველნი მიაწერენ მეფე ფარნაოზს, მათ სამეფოს დამარსებულს და ალექსანდრე დიდის (მაკედონელის) თანამედროვეს. ქართული წერა ზენდურის ჩამომავლობისა არის და სამღვდელობამ, რათა აღესრულა კვალი გერმანთაუკანის-მცემლობისა, მე-4 საუკუნეში ლურსმურებრივი წერა ანუ ხაზებრივი ხელი წერისა, რკველ ხელად შესცვალა. \*) ასოთა მოყვანილობა აძნელებს კითხვას და მით უფრო, რომ მრავალი ასოებია, რიცხვით 38. მაგრამ ამ ასოების სიმრავლისა გამო მართლ-წერა არავითარ სიმნელეს არ წარმოადგენს, რადგანაც, თუ კარგად იცნით ასოების გამოთქმა, ძალიან ადვილად და შეუცდომლად შეიძლებთ ქართულად წერას. პირველი სიმნელე ასოების შესწავლისა ამ სიმარტივის გამო დიდ დაბრკოლებად არ უნდა ჩაითვალოს. სკენამდე არ მოუღწევია არც ერთ სალიტერატურო ნაწარმებს ქრისტიანების უწინარეს დროიდან. საქრისტიანო საქართველოს მწერლობის უძველეს სახსოვარს წარმოადგენს დაბადების თარგმანი და რამდენიმე სასულიერო თხზულებანი. როგორც ყველგან, ისე საქართველოშიაც მწერლობა და მეცნიერება პირველ ხანებში სასულიერო წოდების ხელში იყო, რომელსაც უმთავრეს საგნად მიაჩნდა ქრისტიანობის დამკვიდრება. ამისათვის იგი სცდილობდა საუკეთესო სასულიერო თხზულებათა თარგმნას, მეტადრე ბერ-

\*) აქ ცხადი შეცდომაა. დამტკიცებელია, რომ ქრისტიანობის შემოღების დროს და შემდეგაც ყველა ხელ-ნაწერები სამართო წერილისა, ძველი ზედ-წარწერანი ეკლესიებზე და ფულზე ხუცურია, რომელიც ხაზებრივ ხელს წარმოადგენს წერისას.

ძნული ენიღმე. ბიზანტიელნი ბერძნები პირველნი მასწავლებელნი იყვნენ ქართველებისა და მეთერთმეტე საუკუნემდე უმაღლესი თანამდებობანი სასულიერო წოდებისა ბერძნებს ეჭირათ. ბიზანტიის გავლენა იმ დროს ძრულად საქართველოს კულტურაზე ვრცელდებოდა, ისე რომ ქართველთ განათლებას საფუძვლად ბერძული კულტურა ჰქონდა. ეს ვითარება გაგრძელდა ბაგრატიდების მძლავრ და სახელოვან მეფობამდე და აღმოსავლეთის იმპერიის დასუსტებამდე. უმაღლესის ცივილიზაციით მოხიბლული ხალხი ადვილად ვერ აიცილებს თავიდან მის გავლენას და ამისათვის ვხედავთ, რომ ქართველნი დიდ ხანს მისდევენ კიდევ თავიანთ პირველ მასწავლებლებს. და თვით იმ დროსაც, როცა აღმოსავლეთის იმპერია დაემსო, ქართველთ ახლგაზდობა ათინაში და სხვა საბერძნეთის ქალაქებში სწავლობდა.

მეთერთმეტე საუკუნეში პირველად ჩნდება საქართველოში საერო ლიტერატურული ნაწარმოებნი, და მეტადვე ბერძნულ და რომაულ კლასიკების თარგმანნი, რომელნიც საფუძვლად დაედო ქართულ ლიტერატურის განვითარებას და რომელთაც განაღვიძეს შემოქმედობითი მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზზე. უაღრესს აღყვავებას ქართულ ლიტერატურამ მეთორმეტე საუკუნეში მიაღწია, სწორედ ამ ერის მომეტებულის ძლიერების დროს, როცა მისი ცხოვრება ძველგარებით იყო სავსე. რაინდული ზნენი იმ დროს უკვე სუსტდება, მაგრამ ქართველების მიერ გადახდილი ომები მუდამ მათდა საბედნიეროდ თავდებოდნენ და მათი ძლიერება მეზობელთა შემხარავი იყო. ეს უნდა მიეწერებოდეს ან მათის კულტურულ უმაღლესად განვითარებას, ან და საზოგადოებრივს ორგანიზაციას, წესწყობილობას, რომელსაც უნდა შესძლებოდა მათის სამხედრო

მოღვაწეობის გაადვილება. ხალხი ამავე დროსვე სწინან გარეშე ძლიერების დაცემის ნიშნები და ქართველებმა უურადღება მიაჩნციეს შინაური ყოფა-ცხოვრების მოწყობას, რომელიც თვისის ოჯახობრივის კერათი უფრო სასარგებლო იყო რაინდებისათვის, ვიდრე ძველად ასატანი გლამჭკრებანი. უზენი უფრო ღმობი-კნი შეიქმნენ და ურთიერთობრივს განწყობილებაშია ცამოსკვირდა ერთგვარი საქციელი, რომელიც თავს იჩენდა განსაკუთრებით იმითი, რომ მშენიერს სჭესს პატივის ცემას უმეტებდა. ეს იყო უხვი, მხარული ცხოვრება და მას, რომელსაც კარგად იფერებდენ, მაგრამ ამასთანავე არ აკლდათ კემო არც მშენიერებისა და არც ესტეტივისა. გგონებთ წარსულში არც ერთ-ხელ არ მიუღწევია საქართველოს: იმ წარმატებაში, რა წარმატებაშიდინაც მან მიღწეის თამარ მეფობის დროს მეთორმეტე საუკუნეში. ამ თამარ მეფეს აქებენ და აღიბებენ უკულა ის ხალხნი კავკასიისა, რომლებზედაც კი მისი ხელმწიფება და მეფობა გავრცელდებოდა. მისი ღმობიერობითა და სინაზით საგსე გავლენა ცხოვრების უკულა მხარეს დაეტყო. გარეთ კეთილად წარმოებული ომები, შინ საკეთილად მომართული წეს-წყობილობა და დიდი სარკვი, რომელსაც მტრისათგან ბლებდენ, რასაკვირველია ქვეყნის კეთილ-დღეობას ცოტას არ ესმარებოდნენ და უოკულსავე ამასთან ერთად გულტურაც წარმატებაში შედიოდა. არას დროს საქართველოს იმდენი შეზობანი არ აუგია, როგორც მამინ; ამას მოწმობენ მრავლად დაშთხილი მამინდელი უკულესიება, მონასტრები და ციხეები. უკულა ეს თვალთ დასახანავი სახსოვარნი განსაკუთრებულის ხასიათით განსხვავდებიან, და თუმიცა ის განვითარება სტილი-სა არ ეტეობათ, როგორ განვითარებასაც მაგ. ბერძნულ-გობ-ზანტურ არხიტექტურამ მიღწეის, მაგრამ მანც თავანთი სა-

კეთარი გემოვნება აჩნევია, გემოვნება ყოველთვის თვალისათვის სასიამოვნოა. ქართველთ სტილი ყოველთვის მარტივია, თუმცა წარმოდგენის ნიჭი ქართველთა მდიდარია და მათი გარემო ბუნებაც დაუსრულებლად მრავალ-ფერია. ამ მხრივ იგი-ნი მტკიცედ იცავდენ სიმარტივეს და შესაბამი ჭარბობისას განზომილებათა შორის. ეს გარემოება კვანებით საბუთად მისაღება იმის შესახებ, რომ მათ მშვენიერი გემოვნება ჰქონათ. კეთილ-დღეობასთან ერთად სიმდიდრეც დაიბადა, განაღდა ცხოვრება, სიამოვნებითა და ფუფუნებით აღსავსე. ამ კვარი მინაზებულად ცხოვრება ფესვ-მოკიდებული იყო მომხიბლველის და უმშვენიერესის თამარის სასახლეში. აქ დიდის სწობითვე სუფიქსად სიმდიდრე და გატაცებული ქეიფი, რომელსაც მხოლოდ იშვიათად შესწევებდა აზვრისა და საჭურველის უღრიალი და მერე ამის შემდეგ ისე და ისე იწყობოდა ცოტას-სწობით შესწევებელი ქეიფისა და ნადიმობის რიგ-რიგა ბრძოლის კვლავ გამარჯვებით გამაფთხილ რაინდთა წოდებისა. ყოველი დაბრუნება გამარჯვების შემდეგ ნამდვილი დღესასწაული იყო, რომლის განმავლობაში ხელ-ნელა შემოდირდენ გამარჯვებულნი და მათი ცხენები მოდიოდენ ქუჩაში დაგებულ ხაღიკებს; ამ უკანასკნელთ მათინ დიდი ფასი არა ჰქონდათ, რადგან განუწყვეტლივ მოდიოდან სამავჰადიანო აღმოსავლეთის ქვეყნიდან. მათინ იყო დიდებული დრო და იმ დროინდელ თბილისთან შედარებით ასლანდელი მიყრუებული და კატრული თბილისი სულ სხვა ნაირს სურათს წარმოადგენს. იმ დროს თბილისისაკენ მოესწრაფოდენ ათასობით და რჩი ათასობით სახელმწიფანი რაინდები ფუფუნებისა და სიამოვნების წყურვილის მოსაკლავად. ვრძლად გაბმული ქარავნები მიდი-მოდიოდენ თფილისის ქუჩებსზე და დაატარებდენ ზღაპრულ განმეულობას; თუმცა თვით

ეს ქვეყანაც უნდა იმდენად ყოველ საშუალებას სიცოცხლის ტუბილად გატარებისათვის. დასძინეთ ამას საშინელი სანაპირო-თველას მოწმენდელიცა, საუცხოო ბუნება, რომელიც ყოველ-ღვივ ქვეყნის დიდებით შექმნილია, ღვინო სულის აღმან-თობელი და აღმატყინებელი, უმცირესი ყველგან და ტურსა-ქალები, სიმინარულის და მასვილ-სიტყვიერების მოყვარე ვაჟ-გატები, წარმოადგინეთ ყოველივე ესე და თქვენ შეგუქვით დახსლავებით თუაღწინ გამომხატოთ იმ ცხოვრების ნამდვი-ლი სურათი, რომელსაც მამინდელიცა სანაპიროველად წარმოადგენ-და და მერე ამ დროს, რომელიც გონებრივ განვითარების სა-ნეტარად დროდ იმდენება სანაპიროველას ისტორიაში.

ამ გვარს ნადავლად, აღმცენებელი პოეზია სხვას რას შეიძლება ნამდვილი ცხოვრების სურათების გამომხატვის მუცს, იმ ცხოვრებისას, რომელიც ყოველივე სიმარტებით და კმაყოფი-ლებით აღსავსე იყო და ამისათვის მომზადზე იფიქრით, შთა-მომავლობის ბედზედ ზრუნვით თავს არ იწუნებდენ მამინდელ-ლი ქართველები.

ამ ნაინად უეჭველია, რომ მეთორმეტე საუკუნის ქარ-თელს გონებრივ ნაწარმოება შინის ცხადად იხატება თანა-მედროე საზოგადოების ცხოვრება და გემოვნა-მისწრაფებანი. საზოგადოდ, ამ დროინდელი ქართველების სურვილი მდგომარ-იანება გამოხატება ღირსიულის პოეზიაში. და ან გი როგორ-არ გვიმოუქვით თავის მხარეებზე და მწუხარება იმ ქვეყანაში, სადაც ყოველივე პოეზიისაკენ მიგოტაცებს, სადაც ყოველ აგ-ხის გადადგმაზედ სვლით საუცხოო ბუნებას, სადაც მოწმენ-დილ ცის კაშკაში და ხელი ჰავა თვით უბნის კაცსაც პოეტად შექქმნის.

ამ ამისათვის დამოკუთხედი პოეზია განსაკუთრებით ჰქვია-

და ამ დროინდელ საქართველოში და ცხოველდება იყო გამო-  
თქმული. ეს პოეზია ბუნებრივით დაჭეუდა და დაჭკენესოდა.  
ყოველ მიდამოს.

გრძობათა გამომხატველ თხზულებათაგან მართლ ნაწი-  
ლია გადაეცა მომავალ შთამომავლობას; ამ ნაწი ბუდი არ  
შესვდათ მხოლოდ ეპიკურს თხზულებათა, რომელნიც ძვირფას  
სელ-ნაწიკრებდ იყვნენ და დიდ განძად არიცხებოდენ, ვიდრე  
სტამბის საშუალებით ძლიერ არ გაგრცელდენ და ჭკეუნისა და  
საზოგადოების საკუთრებად არ გადაიქცნენ.

ამ გვარ თხზულებათაგან განსაკუთრებით შესანიშნავია  
«კეფსვის ტყაოსანი» ანუ «კეფსვის ტყავით შემოსილი კაცი».  
ამ თხზულებაში მოქმედება გადატანილია არაბეთში და ვრცლად  
მოთხრობილი ამბავი ჭსტავს მამინდელ ქართველების დიდებულ  
ცხოვრებას...

შინაარსი ამ ეპოპეისი შემდეგია: დიდებული არაბეთის  
მეფე რომტიკან სამეფო ტახტს უღოცავს თავის ასულს თა-  
ნათინს, რომელიც, პოეტის სიტყვით, როგორც აღმოსავლეთის  
მზე, ისე ბრწყინავს თავის სილამაზით. ღზინისა და დარ-  
ბაზობის დროს მეფე უცებ მოიწეებს და როცა ეკითხებიან  
დადრეკილობის მიზეზს, ვასუხად ამბობს: მე ის მაწუხებს,  
რომ ჩემს რაინდობას სამამაცო ვნე დაეკარგავ, მათ შორის  
ერთი არ არის, რომ მე შემეღაროს, ან გუგალობით ან მხნე-  
ლობითა. ამ დროს ერთი მისი დასხლოვებულთაგანა, ავთან-  
დილი სთხრავს, რომ ნება დართოს მას მისი სიტყვების უსა-  
ფუძელობა დაამტკიცოს. მეფე ნებას აძლევს და ჭმართავს ამ  
პირით ნადირობას. ნადირობის დროს შესვდიბიან მტირალს  
ახალ-გაზდა კაცს. მეფეს უნდა შეიტყოს მისი მიწუხარების მი-  
ზეზი, ჭკეუნის კაცებს, მაგრამ ახალ-გაზდა უცებ გაქრება თა-

ვის მეჩანის შემწეობით. ეს შემთხვევა უფრო უმატებს მწუხარებას მეფეს და კვლავიერი ვერ ამხიარულებს. მაშინ მეფის ასული თავის მამის მწუხარების ასაცილებლად ჭეშავის აკთანდილს შორეულ ქვეყნებში თდუძალის სასაღვანელო კაცის მოსამბუნად და ამ შრომისა და გაჭირებისათვის კვილდოთ ჭვირდება, რომ ჩემს გულსა და სულს შენ მოგტემა. აკთანდილი ხალიხით ასრულებს ბატონის ასულის სურვილს, რამდენსამე წილიწადს მოგზაურობს აღმოსავლეთის სხვა-და-სხვა ქვეყნებში და ბოლოს მოსამბუნის იმ სასაღვანელოს და შეიტყობს მის თავ-გადასავალს. გაცხარებულის ქარწილით თავდება ეს გაჭიანურებულო, მაგრამ ალაგ-ალაგ საუცხოო ოდისეა. ეს მხოლოდ მოკლედ ნათქვამი შინაარსია პოემისა, რომელიც მშვენიერს ეპილოგებს შეიცავს მოთხრობის მთავარის აზრის შესამკობლად.

ჩვენთვის ძნელია ნამდვილი ფასი დაკდოთ ამ ქართულის პოემის მარგალიტს, რადგანაც ყოველი უწინარეს, შინაარსი პოემისა მეტის-მეტად უბრალო გვეჩვენება, ხოლო დაწერილი ბანი ჩვენთვის მეტად დაფერილია აღმოსავლეთის ტანტაზის აჭრელებულის სურათებით. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ პოემა დაწერილია მეთორმეტე საუკ. და დაწერილი იქაურთაგან. ხოლო იქ გაზვიადება ისე თავლებში არ ეხიარება კაცს, როგორც ჩვენში. ყველა ამ ნაკლებეკანებათა გარეშე, პოემა „ვეფხისტყაოსნის ტყაოსანი“ სავსეა აღურიცხველის მშვენიერის ადგილებით და სწორედ რომ მართლად სულისწამტარეკლის სურათებით ჭხატავს ისეთს ცხოვრებას, რომელიც გაცხარებულად და ძველკარებით მიმდინარეობს, მაგრამ ისეთი პატრიარქალური ხასიათი კი აქვს, რომ უკვე გამჭრდილი ქვეყნის ცხოვრებას ჭკავს. აღწერანი სასახლეში შეგობილება

თა, ნადირობისა, აგრეთვე მოქალაქეთა და წინდთა უნუჩვეულებათა, უცხო პეიზაჟებისა და სცენები შეუვარებულთა ცხოვრებიდგან. — მომხიბლავია და დიდათ პოეტური. მარტივი სინამდვილე ხშირად დათრგუნვილია პოეტურის სურათებრივის მსატკრობით, მაგრამ სამაგეოროდ ამ გვარადვე ხშირად, აწერილია ხალხე ისე თვალ-საჩინოდ და ნიშანდობლივ, ისე თავისუფლად, რომ მკითხველი ძალა-უნებურად სთვლის პოეტს ნამდვილ სულთ ამალეებულად. სხანს, რომ პოეტი სიყვარულით უფილია ამალეებული, როცა შეუქნია თავისი პოემა და ის განსაცვიფრებელი მსატკრობა, რომლითაც ჭხატავს იგი მშვენიერის თინათინის სახეს და აგრეთვე ავთანდილის სიყვარულის გატაცებას, ეჭვს აღარა ჭბადვენ იმ გადმოცემის. სიმართლეში, რომელიც ამბობს, რომ პოეტს საიდუმლოდ უყვარდა მეფე თამარი. თინათინის მთავარ როლიში გამოხატა იგი და თავად მისი მალმერთებულის როლი იტვირთა, (ასაკვირკველია).

«ვეფხვიან-ტყაოსნის» დამწერი არის შოთა რუსთველი, რომლის ცხოვრებაზედ არაკითარი დაწერილებული ცნობები არ არსებობს. ვიცით მხოლოდ რომ მან მიიღო განათლება ათინაში და იქიდან რომ დაბრუნდა, დანიშნულ იქმნა თამარ მეფის საჭურჭლეად უხუცესად (ხაზინადრად). ბოლოს წავიდა იერუსალიმს და იქვე გადაიცვალა.

რუსთველის შემდეგ ქართველთ მუზა ისე აღარ ამალდებულა და იმ დროის სხვა პოეტები ბევრით მასზედ დაბლადგანან, თუმიცა მათ თხზულებებშიაც, როგორც გვარწმუნებენ. ძველი ქართულის მცოდნენი, არა ერთი და ორი მშვენიერი აღგილი შეგვხვდებათ. ამ გვარ მცოდნეთა რიცხვი ესლა ძალიან მცირეა და მხოლოდ ამ უკანასკნელს დროს მხედ მოჭკიდეს მათ ხელი ამ გვარის მწერლების თხზულებათა გავრცე-

ლების საქმეს. ამ მწერლებს კლასიკურ მწერლებადან სთვლიან, და მათ თხზულებათა გავრცელებას შეუძლიან დიდი სამსახური გაუწიოს აწინდელ ისე ძლიერ გათუქვებულ და გარყენილ ქართულ ენას. კლასიკების ბუჭდვას შესდგომია შაქარია ჭიჭინაძე(?) და პირველი წიგნი ამ ბიბლიოთეკისა რამდენიმე კვირის წინადაკიდევ გამოვიდა. ეს წიგნი შეიცავს ჩანჩუხადის პოემას: «თამარ მეფე და მისი მეუღლე ღვათი».

მეთორმეტე საუკუნის კვიკურ თხზულებათა შორის «ვეფხისტყაოსნის» შემდეგ უფრო შესანიშნავნი არიან: «ბარამიანი», «როსტომიანი», «ვისრამიანი» სარგის თმოგველისა და «დილარიანი» მასე ხონელისა. არა უფრო შინაარსის ღირსეუბთ, არამედ უფრო გარეგანი ძირობის სიმშვენებით განიარსება პოემა «თამარიანი», რომელშიაც თამარ მეფეა ნაჭები. ამ თამარ მეფის სახელი არამც თუ ქართველებში, არამედ კავკასიის უგულს ხალხში რაღაც სულის წარმტაცველი მომხიბვლების ძალით არის გავრცელებული, ხოლო თვით მეფე წარმოადგენილი ჰყავთ, როგორც ყოველ სახიერებისა და ქალურ სიმშვენებურთა განმხორციელებელი. მოწიწება, რომელითაც იმის სახელს იხსენიებენ, თითქმის რელიგიურ მნიშვნელობას აძლევს მის, და რამდენადაც ვიცო, არც ერთი ხალხი არ ყოფილა ისტორიაში, რომელსაც ისე გაელმურთებინა ქალი, როგორც იქ თამარს აღმურთებენ. ამ გვარად კერძოს შექმნა იმითი გი არ აიხსნება, რომ გარდმოცემამ იმოქმედა, ან წარსულის ცხოვრებით გატაცებამა და სურვილმა, ასე შალსა აუღვანათ იგი. არა, თვით თანამედროვენი თამარისა სიტყვებს ვერა პოულობენ რომ შესაფერად შეაქონ და ორისა და სამის დიდის პოემის გარდა, მისდა საქებრად დაწერილებისა, მრავალ წერილსა და სიტყვებში იგივე გრძნობა და აზრები იხატებოდა. ჩვენის თქმით

რით ეს იმეტიმ მოხდა, რომ თამარს ვატიდას სცემდენ, რომ გორც ხალხის მოკეთეს და გამბედაობებულს, რადგან მმართველობა მისი კაცთ-მოყვარული იყო, ხალხი მოღვაწეობა — თვით სიმართლე და სხვაობა.

ზოგჯერათან ერთად შრომასაც მისდევდენ მამინ საჭალო-თველში. მაგრამ შრომას ეტყობოდა ზერძებით გაკლების ბეჭედი; მამინ როდესაც ზოგჯერ უფრო სპასითა და ანათათა გაკლებას უფრო ზრძინობს კაცი უფრო შესანიშნავი შრომის მწერალნი იმ დროს იყვნენ: ეგრემ მცინე, ივალთკელი, ივანე ტაიჭი (?), შავთელი და ზეტრიწი, შავთელმა დასწერა ისტორია აბდულ მესაია (?) და, როგორც მოწიბობენ შემდეგში მწერალნი, დიდათ შერთვისა წიგნიც ყოფილა, მაგრამ სხვა იმ დროის წიგნებთან დაკარგულა, რადგანაც მამამდინი მტარვალნი თავიანთ შემოსულს დროს ბაზაროკებოვის სომეხით სწვამდენ და ახადგურებდენ დიდროვან წიგნთ-საცავებს მონასტრებსა და ციხე-დაბაზებში. აღნიშნულ შრომის მწერალთა შორის უფრო გამოჩენილია ივანე ზეტრიწი, წოდებულად იფილქოსოფოსად. რომელიც თავი ისახელა არა მარტო იმით, რომ პლატონის და არისტოტელის თხზულებანი კადმოსთარგმნა, არამედ ორიგინალური ნაწერებითაც. ანტონ ქათალიკოზი, რომელიც სცხოვრობდა მეურავმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ამბობს ზეტრიწისე, რომ ამან არამც თუ მარტო ნიკონი, მათი მიზეზი და ურთიერთ შორის დამოკიდებულებაც იცისო, რისთვისაც ის ნამდვილი იფილქოსოფოსიაო.

ამ გვარის გონებრივის განვითარების შემდეგ საქართველოს დაუდგა დრო დაცემისა. თამარის ქალის მეფე რუსუდინის გამეფებამდის ოსმალები დაეცნენ საქართველოს, ბევრს ცდილობდნენ ამ დროს ქართველები დაეცვათ სამშობლო მტრის

ახსრებისაგან, მაგრამ მათ, სამწუხაროდ, ეს კვლავ მოახერხეს. საქართველოს გონებრივი აღორძინება ამ დროს შეაფერხა არა მარტო ვარძე მტრის შემოსევამ, შინაური არეულდაარეულობაც ხელს უწყობდა ვარძე მტრს, რათა მას შეეჩერებინა საქართველოს განვითარება. შინაური უთანხმოება მეფის სახლიდან დაიწყო, რომელიც რამდენსამე მოწინააღმდეგე დასათ იქმნა გაუოთილი ურთი-ერთ შორის უთანხმოების გამო. ამ ვარძეობამ დაჭყო, განაცალკეა საზოგადოებაც, მოსპო კავშირი რანდობისა სხვა საზოგადოებასთან. ამ ვარძე სულ სხვა მიმართულება მიიღო სახელმწიფო წილობილებამ. ცხოვრებაში აღარ განიდა სხვა-და-სხვა ხალი ელემენტები, რის გამოც ისე განიწინა სახელმწიფო წილობილება, რომ აღარა მსრით არ შეძლებოდა აღდგენა რანდობა და მიწად-მომქმედთა საზოგადოებისა. ამ ელემენტს, როგორც ცნობილია, მუდამ ბურჟუაზია შეადგენდა. ეს წოდება, რომელიც საქართველოში საშუალ საუკუნეობის დროს საკმაოდ ძლიერი იყო, დაეცა აგრეთვე, და მხოლოდ ამ საუკუნეში ვკლავ ძლიერდება.

საქართველოს დაცემის დროს, რომელიც ვარძეობის რამდენსამე საუკუნეს, სრულად მისუსტდა ლიტერატურული წარმოება; მხოლოდ დრო-გამოშვებით განიღებოდნენ სოლმე საღვთის-მეტყულო თხზულებანი, რომელიც მხოლოდ სუსტს სხივს შეადგენდნენ უწინდელის სამღვდელოების სწავლეობისას. პირველის ტიპოგრაფიის გამართვამ 1712 წ. კვლავ განადგვიდა საქართველოს გონებრივი ცხოვრება. მეფე ვასტანგ მექესემ, რომელიც თავით მწერალი იყო, ხელი მიჭყო მრავლად საერო და სასულიერო წიგნების ბეჭდვას. ვასტანგზე ცოტადრე მცხოვრებმა სულხან ორბელიანმა გამდიდრა მწერლობა თავის ქვეყნისა რამდენიმე თხზულებით, რომელთა შორის ერთს

უეჭველი ღირსება აქვს. ეს თხზულება არის ლექსთა-გონა, ანუ ქართული ლექსიგონი, რომელიც შეიცავს ოც-და-ხუთი ათას (25,000) სიტყვას, შეკრებილს მის მიერ ოც-და-ათის წლის განმავლობაში წინანდელ მწერალთა თხზულებათაგან. სულხან ორბელიანის ცხოვრება მრავალ შემთხვევებით არის საგსე; მან ბევრი იმოგზაურა ევროპაში, მიიღო ფრანგული სარწმუნოება, მაგრამ ბოლოს დროს უარ-ჰყო იგი. ლექსიგონის გარდა დასწერა «მოგზაურება ევროპაში» და «იგავთა კრება», რომელიც შიდა დიდის იუმორით ჰხატავს თავის მემამულეთა ნაკლულე-ვანებას. ჭათალიკოსი ანტონი, რომელიც მეთვრამეტე საუკუნე ცხოვრობდა და რომელსაც ორბელიანი სჯულად გამორჩეულსათვის არ უყვარდა (?), ამბობს იმაზე, რომ ყოველივე მის მიერ დაწერილი ძალიან კარგიაო. განცხობელებს ლიტერატურისა; რომელიც გამოიწვია შირველმა ტიპოგრაფიის დაარსებამ, დათრგუნვილ იქმნა სპარსელების შემოსევით საქართველოში, რომელთაც მოახსრეს ტიპოგრაფია და მრავლად დაბეჭდილი წიგნები დასწერს. ესევე ბედი ხვდა წილად მეორე ტიპოგრაფიასაც, რომელიც კრეკლე მეორისაგან იყო დაარსებული სპარსელთა უგანასგნელ შემოსევის დროს.

ამ გვარად მეთექვსმეტე საუკუნემ გაიარა მუდმივ ზრუნვასა და წუხილში ხვალისათვის. მუსულმანთა მუდმივ თავ-დასხმით და თავადთა შინაურ არეულ-დარეულობათა გამო დატანჯულმა ხალხმა ყველაფერზე ზრუნვა დაუტოვა. თვით სიცოცხლე კერძო კაცისაც ვი აღარათრად არ ფასდებოდა. ამ გვარმა მუდმივმა გაჭირვებამ გაახეჩავა ხალხი და სრულიად მოუგლა მხნობა თავისი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობის საცდელად. თუმც ვი დასაუღეთთან გახშირებულს ურთიერთობას ხელი უნდა მოკმარებინა ამისათვის. ცოტადღენი განათლება შემოიტანეს ამ

დროს საქართველოში ფრანგების (კათოლიკების) მისიონერებისა, მომეტებულად იტალიისა. მაგრამ გაკრძელებული მათი პრაქტიკაში უშლიდა მათ მიერ ცოდნათა გავრცელებას, და გამოიწვია ადგილობრივი მცხოვრებლებში უფრო უგულვობა, ვინც სარგებლობდა მათგან გამართულმა სკოლებმა. მისიონერების მიერ გამოწვეულ გაუგებრობათა გამო სასულიერო წოდებაში, მეფე თეიმურაზი. იძულებული იყო მოემორჩინა ჭკეულისათვის იგინი და ცოდნათა გასავრცელებლად ხალხში დაასა სასულიერო სემინარია თელავში და ჩვედენიძე საერო სასწავლებელი.

უგანსებელი გამოჩინებულ მეტონამეტი საუფ. მწერალთა შორის იყვნენ ვახუშტი, ვასტანგ ძეგვსეს შვილი, და ქათალიაიანი ანტონი, იმავე მეფის ძმა. ლიტერატურული მოღვაწეობა პირველისა იყო ფრიად ვრცელი და მოწიძის, რომ იგი დიდად განათლებული იყო. სხვათა შორის მან დასწერა ვრცელი საქართველოს ისტორია, რომელიც შეიცავს გეოგრაფიას საქართველოსას, გეოგრაფიულს ლექსიკონს. ეს უგანსებელი სათუთველი შექმნა სხვათა ამ გვართა შორისათვის.

ანტონ კათალიაიანის თხზულებანი აგრეთვე მრავალნი და სხვა-და-სხვა გვარნი არიან. ჩვედენთაძე საღვთის-მეტყველო თხზულებათა კარდა, მან დასწერა საქართველოს ისტორია, წუობილ-სიტყვაობა საქართველოს მეფეთა, წმინდანთა და მწერალთა საქებრად, და ქართულის ენის გრამმატიკა, რომელიც პირველი თხზულება იყო სხვა ამ გვარ თხზულებათა შორის, და ამისათვის, რასაკვირველია, სასურველად ვერ არის დაწერილი. მან გადასთარგმნა ნემეცურის ენიდან საზოგადო ფილოლოგიის ბაზილიკისტიკისა, ჭიჭიკა კოლქისა, რიტორიკა მისათ-

რისა და სხვ. მისი თხზულებანი არიან დაწერილი მედიდურის ენითა, რომელშიაც ადგილ ადგილ გამოსტვირის ძველებური გულ-უბრყვილობა. იგი ორ-გვარ წერის წესს ადგია: ერთია მარტივი, ხოლო მეორე მძივებრ-წეობილი და კეთილ-ხმოვანი. პირველი კილოა წერისა უნდა იხმაროს ყველამ, ვინც მძმართავს ხალხს, ხოლო მეორე პოეტებს, რადგან მისი ენა უნდა იყოს ისევე აღმატებული, როგორც აღმატებულია თვით ის საგანი, რომელზედაც იგი სწერას. მისს რჩევას მიჭყენებ ბერნი და ეხლაც კი მრავალნი ქართველნი მწერალნი მისდევნი იმ მედიდურს კილოს წერისას, თუმც კი ამ მხრით იგინი უფრო გაზვიადების უნათ არიან გატაცებულნი, ვიდრე ქათალიკოსის რჩევით.

მეტყრამეტე საუგუნის ბოლოს თავდება საქართველოს დამოუკიდებლობის ხანა, რადგან ქვეყანა გადადის რუსეთის მიფლობაში, რომელმაც შეაყენა სპარსელებისა და ოსმალების შემოსევა, რომელიც ანიჭებს მას მშვიდობას და აძლევს საქართველოს შეძლებას ეკრძპასთან ადვილის ურთი-ერთობისათვის.

## II

მეტყრამეტე საუგუნისადამ იწყება მათთვის ახალი ხანა, მაგრამ ცივილიზაციური მოძრაობა ნელ-ნელა იდგამს ფეხს და მხოლოდ ამ საუგუნის მეორე ნახევრიდან კმლკვა ჟეროვანი მსკლელობა. ეკრძპიული ცხოვრება მათთვის ისეთი ახალი და უცნობი რამ იყო, რომ გაკვირვებით და გულ-გრილად შესტკროდნენ მას, და მხოლოდ რამდენიმე მათგანმა, შეიგნო ცივილიზაციის ძალა და მნიშვნელობა. მომეტებული ნაწილი

ქართველებისა უმეტრებაში იყო ჩავარდნილი და მათ ცხოვრებას მძიმე ტვირთად აწვა ზანტი აღმოსავლეთი, რომელსაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ისეთი ზედ-მოქმედება ჰქონდა მასზე, რომ მხოლოდ საწმინდოებით-და თუ განირჩეოდნენ მათ გარშემო მცხოვრებ მუსულმანთაგან, ზნითა და ჩვეულებით კი სრულიად მათ წააგავდნენ. ეს ჩვეულებანი მადლ-ზნობრივ მნიშვნელობას და შინაარსს მოკლებულნი იყვნენ, მომეტებულ ნაწილად წარმოადგენდნენ უაზრო ტერმინებს და მათი ყოველივე ძალა იხატებოდა გარეგნობაში. იგივე ჩვეულებანი სქელ ქერქსავით შემორტყმულ ქართველთ ცხოვრებას და წინ ეღობებოდა ყოველსავე თავისუფალ მისწრაფებას; მით უმეტეს პრაგმატის გადაუღებოდა წინ. ამისათვის გასაკვირველი არ უნდა იყოს, რომ მრავალმა წელმა განვლო იქამდე, ვიდრე ცივილიზაციამ არ შემუსრა ეს ქერქი და საზოგადოების იმ წრეებში, რომელნიც დაახლოებულნი იყვნენ რუსეთთან, განადგობა ცვლილებათა სურვილი. ამ უმად საქართველოს სწორედ ისე მოუვიდა, როგორც მოსდის ხოლმე იმ ქვეყნებს, რომელნიც ძალა-უნებურად გაუტანია განათლებისა და აღორძინების გზაზე სიარულს: განცხოველდა ცხოვრება, დაიბადა სხვა-და-სხვა ახალი საჭიროებანი და ყოველივე თქვი და გონება ეკროპიელმა ცივილიზაციამ წაიტყუა და გაიტანა. ეს განცხოველება ისეთის სისწრაფით მოქმედებს, რომ დათვქრებისათვის დრო არაჰის რჩება და ახალ-შემოდებულ წესთა კრიტიკულად განსასილველად ხომ სულ კვლავ იცლიან. ეს ერთის მხრით ცივილიზაციის კომპლექსს ჰგავს და ამ კომპლექსით თვალე-სწავლი ერთი ვიდრე ცივილიზაციის ნამდვილ შინაარსს შეიგნებდეს, შეიძლება ზნობრივად და მატერიალურად გაკოტრდეს. სამწუხაროდ, გატაცება გარეგნობით და ახალ-ცხოვრების მიერ სარგებლობით

დიდ-სანს ყოფილა ბერძენ მთავარი მიწეში ჯერ ასევე ნორჩის პრეგრესის შეფერხებისა. ქუთაისსა ღ თბილისში გაიმართა ნადი-მი ნადიმზე, ბალი-ბალზე და დარდიმანდული ცხოვრება რამ-დენსამე ათს წელიწადს გაგრძელდა, ვიდრე საშუალების შესუს-ტებამ არ შეამცირა მოქვეყნა რიცხვი. მაგრამ, ღვთის წინაშე, უნდა ვსთქვათ, რომ მასწინა ციყუნენ პირნი, რომელთაც ესმო-დათ რომ უპირველესად ყოველისა საჭიროა განათლება გონებ-რივის გამოფხიზლებისათვის. საუბედურთ მათმა ცდამ ამაოდ ჩაიარა. მაინც ამ გვარ გარემოებათა შორის ყველა საქმე პირ-ველად ძნელი გასაკეთებელი იქნებოდა, რადგანაც არ იცოდნენ, როგორ ან საიდან დაეწყოთ იგი. უნდა ვი ვსთქვათ, რომ დროს განმავლობაში საქმის დასაწყისი თავისთავად გამოიჩენს თავს. სკოლების დამართვაზედ სად იფიქრებდნენ, რომ მას-წავლებელნი არა ჰყავდათ, ხოლო ასეთი შეფერხება ამ საქმისა ამ გვარ ვითარების დროს, სასარგებლოც არის ხოლმე. ამ გვარად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საქართველოც ამ მხრივ ბუნებრივ მსკლავობას მიჰყვა, იმიტომ რომ, ქვეყნობისაგან თავ-ბრუ-დასხმული ქართველთ საზოგადოება გამოფხიზლდა თუ არა, სელი მიჰყო ასალ ცხოვრების მიერ წამოყენებულ უსაჭი-როესთ საგანთა განხილვას და კიდევ ჰპოვა მრთელი დასი ხელ-ძმღვასეულთა, რომელნიც რამდენამე ათი წლის წინად არ არსებობდნენ.

გონებრივის ცხოვრების განცხოველებისათვის, პირველად-ვე მათ დააარსეს ყურნალი, რომლის შემწეობითაც შესაძლო ყოფილიყო უმთავრესი საგნების განხილვა საზოგადოების უმ-რავლესობის მიერ. პირველად სცადეს ეს საქმე 1832 წელსა, მაგრამ ცდამ ფუჭად ჩაიარა. ამ გვარივე ბედი ეწვია მე-50-ე და მე-60-ე წელთ ყურნალებს, რადგანაც მკითხველების რიცხვი

ძალიან მცირე იყო. ქართველთა შიგნით პრუდენციების ღვაწლი დიდი იყო, რადგანაც იმათ უნდა ებრძოდნათ არამც თუ თვისთა თანამეგობრულთა ცრუ-მოწმუნეობათა წინააღმდეგ, არამედ ამას გარდა იმათ უნდა შეეშინებინათ ენაც, რომელიც სუსტი აღმოჩნდა ევროპელების ცივილიზაციის იდეათა გამოსასატყავად. მაგრამ ბოლოს ქართულ მწერლობასაც უფრო გარკი დრო დაუდგა და 1866 წელს დაანსებულ იქნა «დროება» აჭამდის კარგად იბეჭდება. ეს გაზეთი თუძცა პატარაა, მაგრამ კარგის ხელმძღვანელობით გამოდის, ყურადღებას აქცევს განსაკუთრებით შინაურს საქმეებს და სჯის მათს შესახებ ძალიან პრაქტიკულად. მისი რედაქტორი მესხია არის. მორე გაზეთთა ქუთაისში იბეჭდება და თითქმის სხვა ბნაგს ეკუთვნის, მაგრამ იმავე აზრებს აღიარებს, რასაც შირველი. ამ რრი გაზეთის აზრებთა სხვა-და-სხვაობა, რომელიც სშირად შეინიშნება, ამტკიცებს საზოგადოებრივის აზრის განვითარებას. ამ გაზეთებს გარდა, ქართველებს აქვთ სამი ყოველ-თვიური ყურნალი, რომელთა შორის საუკეთესოდ ითვლება «ივერია» — ძველი სახელ-წოდებაა საქართველოსი, — «ივერია», რომელსაც ჰბეჭდავს პოეტი და მოთხრობათა მწერალი ილია ჭავჭავაძე. ეს ყურნალი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ საუკეთესო მწერალნი, შინაარსითაც არ ჩამოუვარდება დასავლეთის ევროპის ბევრს ამ გვარ ყურნალებს. საზოგადოთ ამ უამად საქართველოში განცხობელებული ღიტირატურული მოძრაობა და მწერალთა რიცხვი დღითიდღე მატულობს, თუძცა მათ შორის ბევრი უხეირლც ურკია.

უცხო კაცისათვის, რომელიც ავირდება, ქართველთა გონებრივის მოღვაწეობას, ამ უგანასკნელს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, საუძეოს განხილელს მან ის წაწამობენი, რომელნიც

ადგილობრივს ცხოვრებას გამოხატავენ და მცირეოდენი ლიტერატურული დიკსება მინცა აქვს. უწინაეს უკვლისა უნდა ვიკითხოთ: ქართველების ესლანდელს ლიტერატურას აქვს რამ მჭიდრო კავშირი მათს ცხოვრებასთან, თუ იგი მხოლოდ მწერალთა კერძო გრძნობათა და შესუდულობათა გამომხატველია? ამ კითხვაზედ პასუხის მიგება ძალიან ძნელია, რადგანაც ერთის მხრით ლიტერატურას ეტუობა, რომ ჰხატავს ნამდვილს ცხოვრებას, მაგრამ მეორეს მხრით ბევრი შეუსაბამობა და ალაგ-ალაგ გაფანტული ნაგლეჯები ეკრძობს გონებრივ ნაწარმოებთაგან და ხან ავტორის კერძო შესუდულობაც შეინიშნება.

აქ ვიდევ უნდა ვიკითხოთ, შეინიშნება რამ განკერძოებული მიმართულება ქართველთ ესლანდელ გონებრივ ცხოვრებაში და წარმოდგენილი აქვს თუ არა საზოგადოებას ეკლასიკან ცხადად ნაგრძნობი და შეგნებული იდეალები და მისწრაფებანი?—უნდა ვსთქვათ, რომ ერთი და მეორე შეინიშნება, მაგრამ ჯერ ცხადად არ არის გამოჩეკული და საფუძვლიანად შემუშავებული; როგორც ერთი, ისე მეორე, საზოგადოების ერთობრივ კუთვნილებას არ შეადგენს, რისათვისაც, მათი გავლენაც საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე საყოველთაოდ არა მოქმედობს. როგორც სხვაგან, ისე საქართველოშიაც, წინ-მსვლელობასთან ერთად, შეინიშნება სხვა-და-სხვა ციკლიზაციის შემთხვევები გარემოებანი, რომელთათვისაც ჩინადაც ბევრად ხელის შემწეობელია აქ, ვიდრე სხვაგან სადმე; მაგრამ თვინიერ ამისა ამ გარემოებათა ძალა ძალიან მცირეა და დიდ გავლენას მოკლებული ცხოვრების ზრდასა და განვითარებაზე, იმიტომ რომ ამისათვის საშუალებას საჭირო და ეს საშუალებანი უფრო ბლომად აქვთ ახალ ქვეყნებს, შრომურების მო-

მხრებს, რომელთაც ხელში განათლების დროშა უჭირავთ.

ქართულ ლიტერატურაში რასაკვირველია ამ საუკუნის დიდი საგნების გადაწყვეტას ვერ იზოკით, მაგრამ იქ შეიძლება სწორად შესვლეთ საღ მსჯელობას აწინდელ მდგომარეობასა და ვითარებაზე და სამართლიანს წუხილს საზოგადოების განუვითარებლობაზე. ამ მიმართულებასთან ურთად ქართულ ლიტერატურაში შეინიშნება აგრეთვე: სურვილი წარსულის შესწავლისა, შინაგანი ზნეობრივი საჭიროება განათლებულის მოძველისა...

ეს კილო ერთ-გვარის ძალით შეინიშნება ლიტერატურის ყოველ სფერაში — პოეზია, მოთხრობა თუ დრამა. ესლანდელი პოეზია ქართველების განსაკუთრებით ღირსეულია და ამისათვის ესლანდელ ცხოვრების გამომხატველად ვერ ჩაითვლება. მის საგანს უფრო სწორად შეადგენს გრძნობა სიყვარულისა და შეუნიერი ატე-მარანი, რომელნიც საქართველოს ბუნების წყალობით მრავლად შეგზვდებათ იქაურ მთებზე, ხეობებში და დაცემულ ველებზე. ეს საგანი წაიტყუებს გაცს — საქართველოს ქალნი განსაცვიფრებელის შეუნებისანი არიან — იქაც კი, სადა ბუნებას ყოველივე ძალა უხმარნია, რომ გრძნობა სიყვარული-სა პოეზიის სხვიით იყოს გარემოცული. აქ პოეტები არა საჭიროებენ რომ მათმან ფანტაზიამ შექმნას და მოიგონოს რა-მე, იმიტომ რომ თავაწინ უდგათ საუცხოვრო დეკორაციები, რომელნიც დააშვენებენ მის ლექსს. ბუნების ამ გვარი პოეტიური სიმდიდრე ძლიერ შეულის დიდი ნიჭის პატრონებს, მაგრამ მეორეს მხრით დიდი საშიშაა შეათანა ნიჭის პატრონისათვის, რომელთაც გაზვიადება უყვართ. ამას ამტკიცებს ან-ლანდელი დროის ღირსეულ თხზულებათა უმეტესი ნაწილი,

რომლებს შიდა გრძნობენ და მღერაის ზომასზე გადაჭარბებენ, მაგრამ ყველანი ამ გვარსი არ არიან. გრ. ორბელიანს, ილ. ჭავჭავაძეს და ავაგი წერეთელს სრულად არ ეტყობათ ეს ნაკლებულებანება. მათ ყოველსავე უჭეს გარეშე მალაღი ადგილი უჭირავთ ქართულ ლიტერატურაში და შესანიშნავი შემოქმედებელი არიან ლირიკულის ზოესიისა. ეს მწერლები ღირსნი არიან პირველ ხარისხის მწერალთა სანსულ-წოდებისა, მით უმეტეს, რომ ყველა მათგანს დიდი თავისებურება ეტყობა.

გრიგოლ ორბელიანის ზოესიას, როგორც ლირიკულს, ისე ეპიკურს, აღტაცებაში მოჭყვას კაცი თავისი მალაღი აზრით, კეთილ-შობილური ენით და სიმშვენის დრმა გრძნობით. მის უტყუარ ღირსებას შეადგენს ბუნების უმშვენისებრი აღწერა, რომელიც მალა-უნებლიედ გაგონებს პუშკინს და ჭერ-მონტოვს. გრ. ორბელიანს გატაცებით უყვარდა წარსული თავის მამულისა და დრმა ზატივის-ცემით და შეუღარბელი სიყვარულით უძღვნა კიდევ მრავალი ლექსი მათ.

«რომელთა დასდგეს სიცოცხლე მამულის სასამაღლებლად».

სხვათა შორის არა ერთი გრძნობით სავსე ლექსი უძღვნა ქართველების მიერ დაუფრწხარ თამარ მეფეს, ამ მეფეს, რომლის ერთი მოგონება კიდევ არა ერთხელ ააყვარებს საქართველოს ზოესების ჩანგს. თუმცა ლიტერატურული მოღვაწეობა გრ. ორბელიანისა გრძელდება თითქმის ნახევარი საუკუნე, მაგრამ მისი ზოესი არ არის აღმოცენებული ქართველების ახალი ცხოვრების ნიადაგზე, რომელიც დაიბადა დასავლეთ ევროპის ახალი იდეების გაცნობით. ორბელიანი არაა ნამდვილი ქართველების ვიკენტი ზოლი. იმან იცის მარტო აღტაცება, თაყვანის-ცემა და სიყვარული. ასე რომ მისი ლექსიდან ცხადათ გამოსჭვრეტს აღტაცებული ზატივის-ცემა წარსულისადმი და ამ

შემთხვევაში უფრო ზეგანვან დროდ მოწმუნე კაცის ლოცვას. ორბელანნი გადაიწყვალა ამ მოკლე ხანში 83-ს წლის მოხუცი. საქართველომ დაჭკარვა მით ჭემმარტი წარმომადგენელი და გამომხატველი წარსულის ცხოვრებისა. დასაფლავება მისი იყო ისეთი შესანიშნავი, თანაგრძნობა, რომელიც გამოეყვანა მის ყველა წოდებაში, იყო ისეთი ძლიერი, რომ დაჭემმარტებით ვითყვით, რომ ჩქამომდე ანც ურთხ. პოეტს გვეგასიანას ანა ჭლინსებია ასეთი დასაფლავება. მისმა ასოგვდილმა უცხო გამსჭვალა ყოველი წრის და წოდების წარმომადგენლის. გუული და გამოიწვია მათ მიერ მწარე გოდება, ჭემმარტი ეკლესია და შებრალება გარდაცვალებული საყვარელი პოეტისადმი. ხანა წარსულის ცხოვრებისა, წარსული აზროვნებისა, დრო და უშიშა-მამა-შაშურის საქართველოსა ჩავიდა საფლავს სამუდამოდ და უვიწარ პოეტთან ერთად. ესლანდელ ახალ-გაზრდობას აქვს სრულიად სხვა გვარი შეხედულებანი და დიდის სიხარბით, აწავება უცხო ხალხს და უცხო ცივილიზაციის აზრებს, რადებს, რომებს, სამწუხაროდ, სთრგუნავს იგი ადგილობრივის ცხოვრების თავისებურებას, განსაკუთრებულს ვითარებას.

ახალ ცხოვრებას უფრო შეუფერებანი ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ეს ორი პოეტი, თუმიცა ურთიერთ შორის ძალიან განსხვავდებიან, მაგრამ ორივე ერთხანის მხნეობით და ძალით მოღვაწეობენ და ცდილობენ გააფრცხვლონ თავიანთ თანამეძემულეთა შორის დაწინაურებული აზრები და იდეები. პირველი ნაწარმოებნი თ. ილია ჭავჭავაძის კალმისა გამოეყვინა ლიტერატურაში ამ 20-ს წლის წინა დროდ და მაშინვე დაიჭირა მან საპატრიო და თვალ-საჩინო ადგილი თანამედროეთა შორის. მთავრობამ განიზრახა დე არა გლეხების განთავისუფლება, ჭავჭავაძემ პირველმა დაიწყო საქართველოში დალაღება და თა-

ვის ნაწილებით მოაშრადა სასოგადო აზრი ისეთი დიდი გუ-  
მანოური რეჟიმის მისწავლად, რომელიც იყო ბატონ-ყმბ-  
ბის მოსპობა. არ ვიხსენებ თავის მოთხრობაში, «კაცია — ადა-  
მიანი» და «გლახის სასაზღვრო», მან გამოსახა ისეთი სურათ-  
ები გლეხთა უბედური და ტანჯული მდგომარეობისა, რომ  
მათი წაკითხვა შეამწუხებს და საღელვებს ყოველს კაცის კე-  
თილ-შობილურს გრძნობას.

მოთხრობაში გამოყვანილი ვიხსენებ ჩემი გარემოცული  
საშუალო-საუკუნოების ენით, სოლო ყოველი მათგანი შეჭურ-  
ვილია ძველი ენის ენობით, რომელსაც ძვირად შეხვდებით ჩვენ  
დროში და ჩვენ სასოგადოებაში. მართალია, იმათ ზრდა სწამთ  
მუსულმანთა «ბედის-წერა», რადგან ქრისტიანები არიან, მაგ-  
რამ მათ სიცოცხლის საფუძვლად მანც გამლეტის «to by  
or not to by» არის. სიცოცხლეს იმათი შესვლად, არ  
სძევს დიდი ფასი, მასზე გაცილებით მაღლა აყენებენ საყვარ-  
ელს, სამუდამოდ, მაღლობის გრძნობას და სისხლის ზღვე-  
ვას ანუ ძიებას. ყველა ხასიათები ზემოთ დასახელებული მო-  
თხრობებისა არიან შემუშავებული შესაბამისად სულთნობით.  
აქ ჩვენ გხვდებით ბაბარას თაყვანს, რომელიც თუმცა თავის  
მწიკში თავის თანასწორთან წყვეტს კაცურად, სანდისხან დი-  
დად ბატონობად, მაგრამ თავის ყმბთან, გლეხებთან საქ-  
მეობაში რა ზეგავლენა ყოველ-კვარ კაცის აღიარებს. მისი აზ-  
რით, გლეხი იმით არა იმის, რომ მიაქცია მათ ზრდა ჩვენს  
მეცნიერად. უფროდებს მანც იმეორითაც დედის მუშაობის  
ქვეშად მუშაობის უფლებას აზრი, რომ ისინი განიღონ  
არა იმეორად, ბატონის ფეხის ქვეშად. ყველანი დარწმუნე-  
ბული არიან, რომ განებამ ესენი შექმნა მხოლოდ მისთვის,  
რომ გასწავლენ ყოველი განკარგულება (თუნდ იგი იყო ანა-

ყოფი სულელი ჭკუისა), ვითარცა პირუტყვმა სიტყვის შეუბრუნებლად. თუმი ეს ასეა, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ შშიერი ვაცის მოთმინებას აჭკვს თავისი საზღვარი და როდესაც ბარბაროსმა ბატონი შეესება მას, რაც მის წმინდებით არის წმიდა და სელ-შეუსებელი, მაშინ ყმის გულში გაიღვიძებს ვაცობრიული ღირსების გრძნობა. ამ ხარ გაღვიძებას ვიდევ მოსდევს აღრეულობა, სისსლის ღვრა და სსკ.

ჭავჭავაძე დიდი მტოდნეა თავის თანამემდევლეთა სსსისა და გულისა. მისი მოთხოვნები, რომელთაც საგნად აჭკვთ აგვიწეროს აწმყო ცხოვრება, სავსე არიან უმშვენიერესი სურათებით და გვისატყენ უფრო ბნელ მსარკებს ქართველების ცხოვრებისას, ვიდრე ნათელს. ჩვენ გგონია, რომ სსკა მოთხოვნა არ მოიძებნება ქართულ ღიტიკატურაში, რომელიც ისეთის სიმართლით და ისე დამთავრებულად გვისატყავდეს ძველი დროის თავადობის ცხოვრებას, როგორც «ვაცია—ადამანია.» ეს მოთხოვნა შეიცავს ყოველისფერს, რაც ვი საჭიროა ამ სახლის გასაღწობად. აჭ ჩვენ ვსუდავთ სოფელელ მდიდარ თავადს, რომლის სინოცსლე მიმდინარეობს ჩუმიად, უზრუნველად, უსაგნოდ და უზროდ. ოჯახსაც ის არ უყლის, რადგან შრომის არ არის შეჩვეული და არც უყვარს იგი. მისი სატროფონი არიან: გემრიელი სადილი, მშვენიერი ვასური და განცხრომით ძილი ქართულ ტახტზედ. პროგრესი მას არა ჭსწამს, სწავლას და ცოდნას ის მუჭთ ბარჯად სთვლის, წიგნი ეჯავრება, როგორც საკვდილი. ნაცვლად ამისა მას მტვიცრედ სწამს თავისი მოწოდება, ესმის და აფასებს თავის უფლებას, რომელიც მას აჭკვს ნაბოძები თვით ღვთის მიერ. ამ მხრივ, მის აზრით, თავის დღეში არა უნდა შეიცვალოს-რა, ან როგორ შეიძლება ჩამოერთვას თავადს უფლება—სყოფი მის მამა-პაპათ დიდე-

ბუფი სამსახურისა სამშობლოს წინაშე. სამშობლოსი და თავისი გვარის ისტორია ცოტა არ იყოს ახალისებს ჩვენ თავად და ამ საგნის შესახებ მოეპოვება მცირედი ცოდნაც. ყოველად პატიოსანი და ბრწეინვალე მისი ძეუღლე და რეჟანი ძალიან წააგავს ქმარს, თუშცა წიგნების კითხვის წყალობით მან ცოტათი გაიგო ქვეყანა. იშვიათი შემთხვევა არ არის საქართველოში, რომ დედა-გაცი სჯობდეს მამა-გაცს თავისი აღზდით და ცოდნით. ვნებან და რეჟანს უყვარს წიგნები, მაგრამ მანერკერ განთავისუფლებულა იმ ცრუ-მორწმუნეობისაგან, რომლითაც არის გარემოცული მისი ქმარი. ნიჭიერი პოეტი გვისატავს მრავალ სურათებს ძველებური ცრუ-მორწმუნეობისას, რომლითაც იყო მოდებული ძველებური საქართველო.

ისტორიულ მოთხრობებში ჭავჭავაძე სჩანს დიდი თავყვანის-მცემელი თავისი საყვარელი საქართველოსი. უყვარს მას სამშობლო გატაცებით. ყუელა ლექსებიდამ, რომლებიც უძღვნა მან სამშობლოს, მოასმის შესაზარი კენესა და ოზგრა, თუმცა ამავე დროს გამოსტკერეტს სხივი ბედნიერი მომავლისაც. მაგალითებ:

### გაზათხელი.

ტყეს ესმება ფოთოლი

აგერ მერცხალი ჭვივის.

ბადში ვაზი ობოლი

მეტის ღხენითა სტირის.

აუკავებულა მდღეც,

აუკავებულა მთები,

და სსუ.

ანუ

### ელეგია.

მკრთალა ნათელი სასუ მთვარისა,

მშობელს ქვეყნას ზედ მოჭყენოდა

და თუთი ზოლი შორის მთებისა,

ლაყვარდ სივრცეში ჩაინთქებოდა.

აწსაიდამ ზმა, აწსით ძახილი!!...

მშობელი მშობელს აწას მეტყოდა,

ზოგჯერ კი, ტანჯვით გამოდასილი

ქართლის ძილშია კვნესა ისმოდა.

ვიდექ მარტოკა... და სსუ.

